



ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru



№417 (476) 31 ოქტომბერი-14 ნოემბერი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააჟი შენიცა



ბორის 88.3
დავითაია:
დემონი —
გალაკტიონის
მეგობარი —
კოეტი
დიმიტრი
ქავთარაძე

იზა თამაზაშვილი:
დამაბრალეთ რუსეთის
აგენტობა — ეს დიდი
კატინია 88.5

თენგიზ კუბლაშვილი:
OPENIUS, 88.7
დიდება შენდა!

88.8 ნუგზარ
კვაშილაძე:
მატარებელი



ლავრენტი
ბერიძე —
საბჭოთა
კავშირის
ცილდანამებული
გმირი 88.4

ვაჟაჲ ჭიკაშვილი:
სადამდე უნდა
ვიძახდეთ რუსულ
აბრესიანზე? 88.2



ცნობილი
შემოქმედი
მერაბ 88.10
ხუბუა 60
წლის გახდა

ლუარა სორდია:
მერაბ
კოსტავას
პოეზია 88.11



გახსენებთ ლუარა
ირაკლის ასული
სულაქველიძე-
დანელიასი! 88.10



ზურაბ
კვარაცხელია:
ჩვეთვის და ალბათ
სხვა ბევრისთვისაც
ცოტა ძელია 60
წლის ვიზალი
დარასელია 88.10
ნარმოვიდგინოთ...

სადაა უნდა ვიქნებით რუსულ აბრეშისზე?

სამწუხაროა, რომ ისევ მიწვევს ყურადღების გამახვილებას თემაზე, რუსეთის მიმართ მოჭარბებული სიძულვილი რომ ჰქვია. როგორც ჩანს, მომავალშიც არაერთხელ გავხვდებით იძულებული „დავიცვა“ დიდი რუსეთი, ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტის გესლიანი კლამისგან. მაგრამ რუსეთს რომ რიგითი ქართველისგან – ჩემის სახით, დაცვა არ სჭირდება, მაშ რას ან ვის ვიცავ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, თუმცა შეეცადოთ. ვიცავ არა რუსეთს (საბოლოო ჯამში ასე გამოდის), ვიცავ ჩვენს ქვეყანას, ბოროტებისგან, ისტორიული ფაქტების გაყალბებისგან, ნეგატიური აზროვნებისგან, ქარაფშუტული ქცევისგან და ა.შ. ვიცავ და ვოვლი, რომ ტყუილებით, ფაქტების დამახინჯებით დათვური სამსახური ეწევა ცრუ პატრიოტიზმს და როდესაც ნამდვილის აუცილებლობა დადგება – ცრუზე აღზრდილი თაობა გაზაბნეული იქნება და ვერ გაიკვლევს გზას.

ისტორიისთვის სიცრუე არცთუ იშვიათი რამ არის, განსაკუთრებით საქართველოს – მდიდარი, საუკუნოებრივი ისტორიისთვის. სიცრუეც არის და სიცრუეც, მაგრამ, როდესაც სიცრუე ისეთი ქვეყნის მიმართ არის შეთხზული, რომელიც მეზობელი, დიდი, მძლავრი და გავლენიანი, სიცრუე ბოროტებაა – ჩადუნილი არა ე.წ. მტრის მიმართ, არამედ საკუთარი ხალხის მიმართ და რატომ?

უპირველესად იმიტომ, რომ სიცრუეზე აგებული პროპაგანდა ხელს უწყობს დაბრმავებას ახალი თაობის აღმოცენებას, საიდანაც სრული შესაძლებელია 2008 წლის მსგავსი ან უარესი ავანტიურა მივიდეთ.

დაიხ! სიცრუე, მითუმეტეს საქართველოს უახლოეს ისტორიაზე, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, ცოტამ თუ იცის ჯეროვნად, მათ შორის ახალგაზრდა თაობამ, არ იძლევა ისტორიის ობიექტური შეფასების შანსს. გარდა ამისა, ვის, რომელ გოგო-ბიჭს შეუძლია უფროსის დახმარების გარეშე ნაწევდეს სინამდვილეს? ასეთი ვუნდერკინდები სანთლით საძებარია და როდესაც ძველ-გაზრდა, ახალგაზრდის, მთლიანად საზოგადოების „განათლებს“ ტყუილებით და ფაქტების გაყალბებით ცდილობს – ბოროტებაა.

არანაკლები ბოროტებაა, როდესაც ასეთ მასალას გაზეთი გულში ჩაიხუტებს და სათაურით: „მგელი არ იშლის მგლობას“ თავის გვერდზე გამოაქვეყნებს. ავტორად ამ უხამსობისა გვემოიხილება ვაჟა შუბითიძე, ჩემთვის ამ ჟანრში (პოლიტოლოგია) უცნობი პირი, რომელიც უდავოდ დარწმუნებულია საკუთარ განსწავლულობაში, ცოდნაში და ქართული ანდაზის მსგავსად – „ეს, ჩემი ასო კიტრია და უნდა ჭამო“ – გეპყვება.

აი, ის, რასაც პატივცემული ავტორი გვთავაზობს, უფრო „პატივცემული და ობიექტური“ გაზეთის ფურცლებიდან: „საუკუნეებია, რაც რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მისი მიმართულებები და ვექტორები არ იცვლება: ტერიტორიული ექსპანსია და გაფართოება მეზობლების ხარჯზე; სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობლების საშინაო საქმეებში ჩარევა; სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა სხვა ქვეყნებში; ხისტი საგარეო პოლიტიკა და კუნთების თამაში; ეკონომიკური და სამხედრო ბლოკადა და სანქციები სხვათა საზღვრების უხეშად დარღვევა; რბილი და სამხედრო ძაღის შეზავება; მეზუთე კოლონის მხარდაჭერა, სხვა ქვეყნებში, პიბრიდული ომი, სხვა ქვეყნების ერთმანეთზე გადაკიდება და დაშინტაჟება, ზოგიერთის დაცვა ან შეცვლა სხვა ქვეყნებში, საინფორმაციო ომის წარმოება ახალი იმპერიული კავშირების შექმნა (ევრაზია), დადებული ხელშეკრულების არარად მიჩნევა, თითქოს რუსული მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ, სხვა ქვეყნების ხელმძღვანელთა მოსყიდვა, მკვლელობა, დაშინტაჟება; ასეთ მეთოდებზე, ოღონდ კარგად შეფუთულზე, არც სხვა დიდი სახელმწიფოები ამბობენ უარს, თუმცა არა

ისე აშკარად, ხისტი და აგრესიულად, როგორც რუსეთი“.

რას იტყვით, „შესანიშნავია“, ოღონდ ჩამონათვალს ზოგი რამ აკლია, ისეთი, ქართველი პოლიტიკოსები, ისტორიკოსები და მედიის წარმომადგენლები რომ თავს უფლებას აძლევენ რუსთა დასახსიათუბლად – ქალები მეძაგები, კაცები მამათ-მავლები; ეგენი რომ ტყეში ხეებზე კულებით იყვნენ ჩამოკიდებული, ჩვენ „ფეფხისტეაოსანს“ ვქმნიდით და ა.შ.

მოგხსნათ ჩამონათვლის თავში ნახსენები „რუსეთის საგარეო პოლიტიკა“ და მივიღებთ ნაღვლიანი ქმედებების ნახავს, რომელიც უდავოდ მიესადაგება აშშ-ს, მისი ევროპელი მოკავშირეების საქციელს – მრავალი ათეულ-ასეული წლის განმავლობაში რომ სწადიოდნენ (სწადიან) მოელს მსოფლიოში.

ტერიტორიულ ექსპანსიაზე თუ ვილაპარაკებთ ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები, სხვები ბადალი არ ჰყავთ. სად ინგლისი და ინდოეთის ნახევარკუნძული, ავღანეთი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზია, აფრიკის კონტინენტი; სად საფრანგეთი და აფრიკის კოლონიები, ყველას ჩამოთვლა შორს წავიყვანს.

ძველი კოლონიური სისტემა აშშ-ს ახლით შეცვალა, მაგრამ ძველთან შედარებით ნაკლებად განსხვავებული. მოელს მსოფლიოშია მოდებული აშშ-ს სამხედრო ბაზები. სადაც გაიხედავთ ყველგან ამერიკული ავიამზიდები და ცურავენ, ყველგან ხდება კონტროლი, უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევა. უცხო ქვეყნების ხელისუფალთა შეცვლა ე.წ. ფერად-ყვავილოვანი რევოლუციებით, ჩამოგდებათ, მოქრთამებით, სასურველი ხელისუფლების დასმით და ა.შ. განა უკრაინა-საქართველოს მაგალითით ამაზე არ მეტყველებენ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ერაყის, ლიბიის, სირიის ამბები არაფერს გვეუბნება?!

დღეს რომ ტერორიზმი ჭამს მოელს მსოფლიოს, ვინ არის მისი შემქმნელი, თუ არა აშშ-ი. ამას თვითონ აღიარებენ, მაგრამ რატომაც საქართველოს ზოგიერთ ე.წ. პოლიტოლოგს თუ პოლიტიკოსს მხედველობიდან რჩებათ. აშშ-ს შობაზე რუსული მოდერნიზებულ ტერორიზმს „აღქადას“ სახით და მიუსიეს ავღანეთში მებრძოლ საბჭოთა სამხედრო კონტიგენტს, მოგვიანებით კი სირიაში ამ ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებას - „ისლამური სახელმწიფოს“ სახით.

აშშ-ი და მისი ევროპელი მოკავშირეები დღესაც ძალას, ფულს და იარაღს არ იშურებენ ერაყ-სირიაში მებრძოლი ტერორისტების დასახმარებლად. ნათელი დადასტურება ამისა სირიის დედაქალაქ დამასკოს გარეუბნისა და ალექსის გათავისუფლებულ ტერიტორიაზე ამერიკულ-ინგლისური ქიმიური ბომბების აღმოჩენაა სირიის ჯარის ნაწილების მიერ. ნეტავ სხვა ქვეყნების მეთაურების მკვლელობათა რიცხვს არ განეკუთვნება ერაყის სადამ ჰუსეინისა და ლიბიის მოამარკადაფის მკვლელობა? იქნებ შეგვახსენოს წერილის ავტორმა რუსეთის მიერ ჩადენილი მსგავსი მაგალითები?

სხვა ქვეყნების შანტაჟი არ იყო მანუელ ნორიეგას – პანამის ლიდერის ჯერ დაშინება, შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმის ამ ქვეყანაში გადასხმა, მისი დაჭერა და აშშ-ს ციხეში გამოწყვეტვა?

„კარგად შეფუთულად“ აკეთებს ამასო დასავლეთი – წერს „ბრძენი“ ავტორი. ნეტავ, სად ხედავს „შეფუთვას“ – ერაყთან, სირიასთან, ლიბიასთან, პანამასთან, ავღანეთთან, სხვა ქვეყნებთან მიმართებაში?

სულ ახლახანს, აშშ-ს პრეზიდენტმა მუქარა შეუთვალა ვენესუელის პრეზიდენტ მადუროს – ისეთი, როგორსაც თავის დროზე ნორიეგას უთვლიდა. ამ მუქარას უდავოდ მოჰყვება კვანძის გახსნა, რაც ახალი მსხვერპლით დასრულდება.

განა, მუქარა არ ისმის აშშ-ს მხრიდან დამოუკიდებელი, სუვერენული ჩრდილოეთ კორეის მიმართ?

არ მითხრათ, ჩრდილოეთ კორეა ამერიკის ბირთვული ბომბებით ემუქრებაო. დაიხ! ემუქრება, მაგრამ მას შემდეგ, რაც კორეის ომის დამთავრებიდან დღემდე ამერიკა ემუქრება კორეას განადგურებით.

არ იქნებოდა აშშ-ს აგრესია მის მიმართ და არ იქნებოდა ჩრდილოეთი საპასუხო რეაქცია, ისე, როგორც არ ყოფილიყო სააკაშვილის თავდასხმა რუს მშვიდობისმოყვრელებზე და მიხარე ცხინვალზე, და არ იქნებოდა რუსული სამხედრო პასუხი, შემდეგ, რუსეთის მხრიდან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

წერილის ავტორი წერს „მეზუთე კოლონის მხარდაჭერაზე სხვა ქვეყნებში“. მთლად დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, რომ აშშ-ს მიერ ნებისმიერ ქვეყანაში შექმნილი „მეზუთე კოლონა“, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რა ძალით ერევა იმ ქვეყნების საშინაო საქმეებში. შორს წახვლა არ დაგვირდება – საქართველოს მაგალითიც კმარა.

საქართველოში, აშშ-ს სახელმწიფო თუ კერძო სექტორების მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები უდიდესი გავლენით სარგებლობენ ქვეყნის პოლიტიკაში, ჰქმნიან კანონპროექტებს, აკონტროლებენ მედიას, ზეგავლენას ახდენენ ხელისუფლებაზე, მოდიან ხელისუფლებაში და ა.შ. საერთო ჯამში, ისინი ანტიქართულ საქმეს აკეთებენ. ასეთი, მე-5 კოლონა რუსეთს არ ჰყავს. თუ ჰყავს, რატომ არ ჩანან ისინი? ვინც ჩანს ანუ რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი მე-5 კოლონის წარმომადგენლები კი არა, საქართველოს კეთილისმსურველები არიან, იმ საქართველოსი, რომელიც პროამერიკულმა პოლიტიკამ ღრმა კრიზისში შეიყვანა.

ავტორი რუსეთის მიერ წარმოებულ „საინფორმაციო ომსაც“ ახსენებს, რაც ისეთივე აბსურდია, როგორც მის მიერ მოყვანილი ყველა მაგალითი. აშშ-ს მიერ დარაზმული მსოფლიო მედია – ელექტრონულ-ბეჭდური ერთ მხარეს და ინგლისურ ენაზე მოსაუბრე RT – მეორე მხარეს. ნუთუ ერთი ტელეკომპანია, რომელმაც მაუწყებლობას რუსულის გარდა, სხვა ენებიც დამატა, თუმცა არც თუ ბევრი, შეძლებს კონკურენციის გაწევას ზღვა დასავლური მედიისთვის?

ერთი რუსული RT იმდენად აშინებს აშშ-ს, კოლექტიურ დასავლეთს, რომ ღამის აუკრძალონ ამ ტელევიზიას მაუწყებლობა.

„დაუსჯევლობით გათამამებული რუსეთი ახლა სირიას მიადგა და მსოფლიო პოლიტიკაში გლობალური მითამაშის პრეტენზია განაცხადა. მან შეძლო დასავლეთის წაყრუებით ესარგებლა და ყირიმში წართვა უკრაინას, აფხაზეთი და ცხინვალი ჩამოაშორა საქართველოს“, – წერს ავტორი.

რუსეთი, საბჭოთა კავშირი და ისევ რუსეთი – საუკუნეების განმავლობაში თამაშობს გლობალურ პოლიტიკას. სწორედ თანამედროვე რუსეთს უნდა უმაღლოდეს მსოფლიო ტერორიზმის განადგურებას სირიაში. მართალია, ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ, როგორც ჩანს მალე დამთავრდება. ის, რომ ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ მთელი სირია და ერაყი ხელში არ ჩაიგდო, სწორედ რუსეთის ხელისუფლების და არა აშშ-ს, მის მიერ შექმნილი კოალიციის, დამსახურებაა.

ერთი წუთით დაფიქრდეთ და ობიექტურად შეაფასოთ მოვლენები – რომ არა რუსეთის სირიაში გამოსწრა, რას მოუტანდა მსოფლიოს სირია-ერაყში დაფიქრებული „ისლამური სახელმწიფო“?

ყოველგვარ სად აზროვნებას შორდება ავტორის ბრძანების მაგვარი მოსაზრება: „რუსეთმა უნდა გაიგოს და შეეგუოს იმას, რომ ყველა იმპერია ადრე თუ გვიან ინგრევა და რომ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის საკავშირო მეზობელ ქვეყანასთან, საქართველოსთან ასეთი პოლიტიკა ადრე თუ გვიან კრახით დამთავრდება. შესაბამისად რუსეთმა უნდა გამოაცხადოს, რომ უკან მიაქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება

და აბრუნებს მათ საქართველოს შემადგენლობაში. ...საქართველოც ამის მერე დათანხმდება ნეიტრალური ქვეყნის სტატუსზე“.

დარწმუნებული ვარ, რუსეთმა უკვე გაითვალისწინა ქართველი კისინჯერის ვაჟა შუბითიძის ძალისმიერი რჩევა და შესრულებასაც მიჰყო ხელი.

რა დავარქვა ამას – პოლიტიკური სიბეცე, თანამედროვე ვითარების არცოდნა თუ კიდევ რა? მაგრამ, მარტო შუბითიძეს რომ ჰქონდეს მსგავსი მოსაზრებები, რა გვიჭირს, სხვებიც ბევრი ჰყავს ამ ბედკრულ ქვეყანას.

რა გამოდის, რუსეთის „ეველტიმიტივებით“ – თუ დაგვიბრუნებთ ყოფილ ავტონომიებს, საქართველო ნეიტრალურობას გპირდებით.

ჩვენს მამა-მარჩენალს, საქართველოს მიერ სტრატეგიულ პარტნიორად შერაცხულ აშშ-ს რომ არ აწყობს ჩვენი ნეიტრალურობა? ან რუსეთი ისეთი გულუბრყვილოა, რომ საქართველოს არასტაბილური პოლიტიკისა და დაიჯეროს და დაკარგული დაგვიბრუნოს?

დაგვიბრუნოს, რა ნივთია, კარადა, საძინებელი „გარნიტური“, სამზარეულო?

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იქ დასახლებული ხალხების ქვეყნებია და მათი ძველ „ბინაში“ დაბრუნება მათი და არა რუსეთის გადასაწყვეტია. მათ კი, კარგა ხანია გადაწყვიტეს რუსეთთან კავშირში ყოფნა, ვინაიდან ჩვენთან ომის, დაპირისპირების, სისხლის გარდა ვერაფერი დაინახეს. ცხადია, იყო პოზიტივიც, მაგრამ მას სისხლი მოჰყვა, რამაც დადებითი გადაფარა.

საქართველოს ხელისუფალთ არ სურთ მათთან საუბარი, მაგრამ დაბრუნების დიდი სურვილი აქვთ. რომ მოხდეს ასეთი სასწაული, დარწმუნებული ვარ, საქართველოში უმაღ აშშ-ს სამხედრო ბაზები გაჩნდება, თუმცა დაკარგულის დაბრუნების გარეშე ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ.

აღარ ჩამოვთვლი წერილში მოყვანილ სხვა მოსაზრებებზე, ვინაიდან უსუსური და ქარაფშუტულია. წერილის წაკითხვისას უდავოდ გაგინდებთ კითხვა – რას ემსახურება ის?

უპირველეს ყოვლისა ხალხის გამოთავანებას, ტყუილებით გაბერვას, რუსეთის მიმართ ვითარების დაძაბვას და რუსეთის ვითომ საფრთხისგან აშშ-ს სამხედრო ბაზების განლაგების მოთხოვნას.

დაიხ! მსგავსი პროპაგანდა იქითკენაა მიმართული, რომ „შეშინებულმა“ ხალხმა მიმართოს ამერიკის შეერთებულ შტატებს იშვილოს საქართველო და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სამხედრო ბაზებიც განათავსოს, რაც საქართველოსთვის მომაკდინებელი იქნება.

P.S. სულ ახლახანს ბრიტანეთის MU-6-ის სადაზვერუო სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჯონ სკარლემტმა განაცხადა იმ სტრატეგიული გეგმის თაობაზე, რომელიც მიმართული იყო რუსეთის დასაშლელად. ეს ინტერვიუ მან „The Guardian“-ს მისცა. „ყველაზე კარგად მომზადებულმა ამერიკულ-ინგლისურმა გეგმამ რუსეთის დასაშლელად კრახი განიცადა“.

მისი განცხადებით, დასავლეთი გეგმავდა სამხრეთ ოსეთში სამხედრო და სადაზვერუო ბაზების განლაგებას, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი მოვიდა ქვეყნის სათავეში. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო რადიკალი ისლამისტების გამოყენებაც.

„სამწუხაროდ, 2008 წლის ომი იყო რუსეთის რკინის მუშტი კავკასიაში ჩვენი სტრატეგიული გეგმის წინააღმდეგ. გარდა ამისა, იგეგმებოდა სამხედრო ბაზები უკრაინაში. დასავლეთი ანგარიშობდა რუსეთ-უკრაინის ომზე“.

სკარლემტო აცხადებს, რომ მოსკოვმა შეძლო დაგებული მახის გადაღება და დიდი ბრიტანეთისა და აშშ-სგან საკუთარი ქვეყნის გაუვნებელიყოფა.

ვიდახოთ ახლა რუსულ აგრესიაზე!

ჰამლეტ ჰიპაზილი, პოლიტოლოგი



ბალახტიონის მეგობარი



იყვანე ადამიანები, რომელთა ცხოვრება მეტაფორის გაქცევას ჰგავს ზეცაში. მათს რიცხვს მიეკუთვნება "დემონი" – უკვდავი ბალახტიონის სემინარიელი მეგობარი. ნიჭიერი და ტრაგიკული გედის ახალგაზრდა შემოქმედი – დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძე, რომლის შესახებ ბალახტიონმა დაგვიტოვა

ტკივილიანი მოგონება და მისადმი მიძღვნილი სემონიანი ლექსები.

თავს ვით ფარვანა შემოგვედები,
მაგრამ შენს ახლოს, ტანჯვა მეღაღს,
მახმობს
და შეუმჩნეველად ნელ-ნელა ვკვდები!

ლექსი ზეპირად მომყავს, იგი ზეპირად დავისწავლე, რადგან მაშინ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

თბილისისკენ გამგზავრების წინა დღეებში ქუთაისში ერთი სემინარიელი შემხვდა.

– იცი, – მითხრა მან, – სემინარიაში მარტო არ იქნები, იქ ერთი პოეტი დაგხვდება.

– მართლა? ვინ?

– დემონი – ქუჩუ ქავთარაძე.

მე ის წინადადეგა გაამეგონა, მოუთმენლად ველოდი მის გაცნობას.

დემონის რამდენიმე ლექსი, რომელიც ხელმისაწვდომია მეტყველებისთვის საოცარი ფერებით ასხივოსნებს მშვენიერებას, მისი თითოეული აბზაცი უჩვეულო პოეტურ ენერჯიას გამოსცემს. მასში ეროვნული სულის, ფესვების, საუკუნეთა წიადის ძიება იკვეთება, მშობლიური ბუნების, მშობლიური ფესვებისადმი სწრაფვა. შინაგანი თავისუფლება აძლევს მას შემართებას, მთელი არსებით და ორიგინალობით გამოამჟღავნოს საკუთარი წადილი, შეერწყას ზეციურს, ღვთიურსა და მისანატრს.

ესაა მისი, როგორც პოეტის, სიმბოლური შინაარსი.

დემონი, რომ ლიდერის თვისებებით იყო დაჯილდოებული ამას გალაქტიონი აცხადებს.

“როგორც კი შენობიდან გამოვედი, დაგინახე, რომ სემინარიელები (გარს) ირგვლივ შემორტყმოდნენ ერთ ამხანაგს და გატაცებით უსმენდნენ მას. მოსაუბრე სემინარიელს შავი ლაიკის ბრწყინვალე ქუდი ეხურა, სუფთა შავი ფორმის პალტო და ხელთათმანები, პირველ შეხედვისთანავე შეამჩნევდით, რომ იგი მდიდარი (იყო) კაცი შეილი უნდა ყოფილიყო.

– დემონი! – გავიფიქრე მე, – დემონი უნდა იყოს! ცოტათი გამხდარი სახე და ცისფერი თვალები ოცნებიანი გამოხედვით, რამდენიმე ძლიერ შესამჩნევი უდროს ნაოჭი შუბლზე, სერიოზული, დინჯი სახის გამომეტყველება, ყველა ამან ერთბაშად მამაჯადოვდა. დემონი საუბრობდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. საუბრობდა დიდი სიყვარულით მისდამი, რაც საუბარს ელფერს მატებდა. შემდეგ მე დაერწმუნდი, რომ ამ ყმაწვილის მსგავსი მოსაუბრე მთელ სემინარიაში ერთიც არ მითპოვებდა. მისი საუბარი უსათუოდ მაგიტაცებდათ, მოგხიბლავდათ, დაგატრობდათ. ვიდექი დიდხანს გარინდებული და ყურს ვუგდებდი ამ ხალისიან, სიცოცხლით სავსე სემინარიელის საუბარს, რომელმაც ბოლოს ასე უმიზნოდ და ტრადიციულად დაასრულა თავისი სიცოცხლე. იმ დღესვე გავიგე, რომ დემონი მეორე კლასშივე ჩაეტოვებინათ ლათინური ენისთვის. ეს გარემოება თითქმის სრულიად არ აღონებდა.”

დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძე (დემონი) დაიბადა 1890 წელს სენაკის მაზრის სოფელ ძველ სენაკში. მამა სასულიერო პირი გახლდათ. ამ დროს მის სოფელში უკვე ფუნქციონირებდა წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლა (1885 წ.), რომლის გახსნას ესწრებოდნენ დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ნიკო დადიანი და სხვა ცნობილი მოღვაწეები. აქ დაწყებითი განათლება მიიღეს: კონსტანტინე გამსახურდიამ, შემდგომში ცნობილია აკადემიკოსებმა: არნოლდ ჩიქობავამ, პეტრე ქავთარაძემ, სიმონ ჯანაშიამ, ვარლამ თოფურიაძემ. მანამდე – 1882 წელს სამაზრო ცენტრში (ახალი სენაკი) მარტვილიდან გადამოიტანეს ხანძრისგან განადგურების შემდეგ, სასულიერო სასწავლებელი,

რომელშიც სწავლობდნენ, შემდგომში, სახელოვანი მოღვაწე, თედო სახოკია, აკადემიკოსი: სერგი მაკალათია და სხვები. შესანიშნავ პედაგოგთა რიგებს ამშვენებდა მწერალი ვასილ ბარნოვი. ქრ. უგრეხელიძე, ანტ. კეკელია და სხვები.

ეს გახლავთ თაობა, რომელმაც შექმნა ქართული მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალი. შეუძლებელია გარემოს საკუთარი გავლენა არ მოეხდინა ნიჭიერი ახალგაზრდის სულიერსა და შემოქმედებით მომწიფებაზე. მებრძოლი თვისებების ჩამოყალიბებაზე. უდაოდ დიდი გავლენას იქონიებდა თანასოფელის, ბეჭდულებელი მოტიდავის, ნესტორ ესებუას, მიღწევები. დემონის ჭაბუკობის ვაჟს, ნესტორს, დაუმარცხებლად მოვილილი ჰქონდა ვეროპის ქვეყნები და მასზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ნესტორს ვრცელი ლექსი მიუძღვნა აკაკი წერეთელმა. დემონი ბაძავდა აკაკის. ამას გალაქტიონი თავის მოგონებაში აღნიშნავს. არცაა გასაკვირი, რადგან აკაკის და, მატა, მეზობელ უბანში იყო გათხოვილი და აკაკი აქ ხშირად ჩადიოდა.

„სემინარიაში სამკითხველო გახსენს. – წერს გალაქტიონი – გამოიწერეს ყველა ადგილობრივი ქართული გაზეთები, რამაც ყველა გააოცა. ეს ამბავი ღირსშესანიშნავ ამბავად უნდა ჩათვალოს სემინარიის ცხოვრებაში. მოწაფეები იყრიდნენ თავს ერთ პატარა ოთახში, კითხულობდნენ გაზეთებს და ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. დემონი ყოველდღე დადიოდა სამკითხველოში, და ეს გარემოება იწვევდა მთელ სემინარიას, რომ სადამოლოთი რამდენიმე საათი დაეყვოთ სამკითხველოში. ქუჩუ უსათუოდ აუხსნიდა ყველას გაუგებარ რამეს, მან საკმარისად ბევრი იცოდა, თავიანთ ამხანაგებთან შედარებით. ერთ ამნაირ სადამოს მე გამაცნენს იგი.

– ვიცნობ, – ჩაილაპარაკა მან.

– საიდან, როგორ? – შეეკითხა ვიღაცამ.

– თქვენი ხელნაწერი ლექსი წავიკითხე.

– მითმბრუნდა დემონი, – კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მე უკანასკნელ სიტყვებზე არაფერი არ ვუბასუხე და საუბრის გადატანას სხვა საკითხზე შევეცადე... ლაპარაკი აკაკის იუბილეზე ჩამოვარდა. მალე მთელი საქართველო აკაკი წერეთლის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს იდღესასწაულებდა. რა ბედნიერებაა...

– სემინარიაშიც უსათუოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დღესასწაულში, – სთქვა დემონმა.”

თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ჭაბუკის ლექსები უკვე იბეჭდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ გაზეთებში. სადაც გაცხადებულია კოლხური ცის სილაქვარდე და ლანდშაფტის დიდებულება. უჩვეულო ლირიზმითაა გაცისკროვნებული გრძობები, რომელშიც გამოხატულია მარადიული ტროფობის ენის. მთავარი და არსებითი მაინც ისაა, რომ მძაფრი სულიერი აბოტრებდა და განცდების მოჭარბება ერთმანეთს გადაეხლართა. სწორედ ამიტომაც გალაქტიონი ადფროვანებული დემონის ფენომენალური ნიჭით, ლიდერის თვისებებითა და გარეგნული ათლეტიზმით.

გალაქტიონი და ქუჩუ მეგობრები რომ იყვნენ, ამასზე მეტყველებს ის, რომ სწორედ დემონმა მიიყვანა პირველად გალაქტიონი ჟურნალ “საქართველოს” რედაქციაში და გააცნო ვალერიან გუნიას, რომელიც ასევე სენაკში დაიბადა და უკვე სახელოვანი მოღვაწე იყო. ბარათი, რომელიც “ქუჩუმ” მისწერა მეგობარს, მისი პირველ ლექსთა კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით, გალაქტიონის არქივშია შემონახული. აი, ქუჩუს ბარათი “მშაო გალაქტიონ, იმედია არ დაიზარებ და ამხანაგ-ნაცნობებს მიწავდი ამ ფურცელს. გამოცემა იკისრა ზ. ჭიჭინაძემ. მხოლოდ საჭიროა ასამდე ხელმოწერი და იმედია დამეხმარებით”.

“სურათს რომ ნახე გაგახსენდები, გაგახსენდება წარსული დღენი.

რომ მეგობრობის კონა შეგვართო, ჩვენ ხელთა გვეპურა გრძობის მომეფენი...”

გალაქტიონი ადფროვანებული იყო დემონის ნიჭიერებითა და ადამიანური თვისებებით. 1910 წელს, როცა ოცი წლის დემონმა თავი მოიკლა, გალაქტიონი შეადრწუნა ამ ფაქტმა. თბილისიდან ჩამოყვა მგლოვიარე მეგობართა ჯგუფს ძველ სენაკში და ცრემლმორეულმა საფლავზე წაიკითხა გრძობიარე ლექსი: “ვერ აიტანა სპეტაკმა სულმა, ადამიანთა მტრობა და შური” – ამბობს იგი. შემდგომ წლებში მეგობარს მიუძღვნა არაერთი ლექსი, სადაც გამოხატა გულწრფელი განცდა განშორების გამო. გულმხურვალე ჩანაწერები გააკეთა დღიურში. მიუძღვნა პოემა “შანშე”. გადაწყვეტილი ჰქონდა დაწერა ვრცელი მოგონება. ამისთვის შეადგინა გეგმა, მაგრამ მიხეზთა გამო მისი განხორციელება ვერ შესძლო. თუმცა არასდროს დავიწყებია ყრმობის მეგობარი. 1948 წელს ჩავიდა სენაკში (ცხაკაია), მონახულა მეგობრის საფლავი, მუხლმორეული და თავდახრით პატივი მიაგო ხსოვნის უმწიკლო გრძობას.

ჩანს, ახალგაზრდა პოეტ-დემონს სჯეროდა ზეციური სინათლის, მას იმედი და რწმენა აძლევდა ძალას. სულიერად ერწმინდა კოსმიურ საოცრებებს, მისთვის ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი იყო სილამაზე და მშვენიერება. ჭაბუკმა საკუთარი არსება არ დაუთმო გაუსაძლის განცდებს. სული, რომელიც მთელ სამყაროს ეკუთვნოდა, ეპატარავა. სივრცე და მარადიული შერწყმით ერთგული დარჩა ზეციური სიხარულისა. მომწიფების ხანაში ასე ავლენს საკუთარ ფიქრებს ილიას საფლავთან.

“შიო, მთაწმინდავ, მამაო დავით და თქვენც ღრუბელნი

დაიჭექეთ, და შეარყიეთ სამყარო მთელი! თქვენც ბუმბერაზნი და ამაყნო კავკასის ქედნი

დროა დასძახეთ: „წამებული აღსდგა ქართველი!”

ცხადია, მშვენიერებისა და სულიერი სიმძაფრის შეგრძნება, სიყვარულისა და სიძულვილის გამოხატვის ძალა სჭარბობდა მასში. ამიტომ მზისკენ ღტოლვა სიკვდილით განპირობებული, მარადიულ სამყაროში გადასვლითაა ნასაზრდოები.

მის სულიერ სამყაროში, მთავარია არა მარტო ქართული სიტყვისადმი ხარკის მოხდა, ხილვლის სამყაროს მიხედული დანახვის მძაფრი სურვილი, არამედ უხილავის წვდომა. თითქოს იგი სათნობის, სიყვარულისა და მშვენიერების მეზობედ მოველინა ქვეყანას და ასეთად დარჩა მარადის. მხოლოდ მისებრ ადამიანებს, ძლიერ და მდგრად ძალუბთ ადრეულ ასაკში გამოეთხოვონ ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლეს.

როცა ფიქრობ ოცი წლის ჭაბუკის სიკვდილზე, გინდება სინანულის შეგრძნება. ამასთან მოწიფება სიწმინდისა და სინათლისადმი.

“ობოლი ვარ... არ მყავს ვინმე, ფიქრების მოზიარე,

ვის აუხსნა გულის დარდი, განუმარტო ტანჯვა მწარე!”

ცნობილია, რომ დემონი ღვთაებრივ არსებათა გარკვეული ჯგუფს მიეკუთვნება. მას აუხსნელს, გაუგებარს და საოცარს მიაწერენ. ნუ ავხსნით დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძის ქმედებას. ჩავთვალოთ იგი დემონურ, უჩვეულო ქცევად. სამყარო, სიცოცხლე და ყოფიერება ხომ საიდუმლოებაზეა აგებული. როცა საიდუმლო ქრება, სამყარო და სიცოცხლე უფერული და ყალბი ხდება.

დემონის შემოქმედების მკვლევართა შორის უნდა გამოვეყოთ ვახტანგ ჯავახიძე, მამუკა შელევია და სხვები, რომლებმაც საზოგადოებას გააცნეს გაფურჩქნის ხანაში ჩამტრალი ახალგაზრდის ცხოვრება და შემოქმედება, არდავიწყების მაღლით შეამკეს ის.

ბორის ღვთიაია, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურიატი

ვიშ, ამ სადამოს, ნეტარ-სადამოს,
ვიშ, ამ წაღკოტსა გადაფენილსა,
ედემ-სადაროს, მაგრამ საბრალოს,
მტრის დაბრეყებულს, ობლად
შთენილსა.
სამშობლო მხარე, მტირალ-მცინარე,

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაგრძობის ტარიელ და შაღვა ჭითანავეს მძის
ბიჭიკო ჭითანავეს
გარდაცვალების გამო



ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული ბერი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შედეგ ვანნიკოვი ინიშნება შეიარაღების სახალხო კომისარად (1939 წლის თებერვალი – 1941 წლის ივნისი). ეს გახლდათ ძალზე რთული და მძიმე პერიოდი. ფართო მასშტაბებით შენდებოდა ახალი და მსხვილდებოდა უკვე მომქმედი საარტილერიო ქარხნები. საესეებით სწორი იყო ის წინადადება, რომ ახალი ობიექტები აეგოთ ქვეყნის აღმოსავლეთით. სახალხო კომისარმა ურთიერთობა გაამწვავა სასკომსაბჭოსა და პირადად სტალინთანაც კი იმიტომ, რომ თავისი პოზიციები დაცვა. მაგალითად, ბერია თვლიდა, რომ საარტილერიო ქარხანა არის მანქანათმშენებელი და მეტალურგიული საწარმოები და იმიტომ არ შეიძლება, რომ ისინი ორ სახალხო კომისარიატს დაექვემდებარონ. მან ასევე უარი თქვა, რომ შინსაკომის სამშენებლო დაწესებულებები გადასცემოდა მშენებლობის სახალხო კომისარიატს, შექმნა საკუთარი სადაზღო-ინსტრუმენტული ბაზა. საომარი წლების გამოცდილებამ და ქარხნების აღმოსავლეთში გადაადგილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს გადაწყვეტილება სავსებით მართებული გახლდათ. იგივე ითქმის ნომენკლატურასა და პროდუქციის კონსტრუქციასზე.

ვანნიკოვის ცნობილი წიგნიდან (“სახალხო კომისარის მოგონებები”, წიგნი “ომი, ხალხი, გამარჯვება”, 1983 წელი) შეიძლება იმ პერიოდის სურათის აღდგენა:

1939 წელი. მიდის დავა იმის თაობაზე, თუ რომელი თვითდამტენი შაშხანით უნდა აღიჭურვოს ჯარი. ვანნიკოვი მარტოხულად უწევს წინააღმდეგობას კომისიის ყველა წევრს. სტალინი ყურადღებით უსმენს მას და... იღებს საპირისპირო გადაწყვეტილებას:

- რატომ? - იკითხა ვანნიკოვმა.
- იმიტომ, რომ ასე სურს ყველას, - პასუხობს სტალინი.

ათვისება მიმდინარეობდა მძიმედ, თუმცა წარმოება მაინც აუწყო. მაშინვე წამოვიდა საინჟინერო ნიაღვარი: შაშხანა მძიმეა, რთულია ექსპლუატაციისათვის და ა.შ. ვანნიკოვი კვლავ გამოიძახეს სტალინთან: “რატომ ჩაუშვით წარმოებაში ტოკარევის შაშხანა და არა სიმონოვის შაშხანა?” ვანნიკოვმა შეახსენა ამასწინანდელი შეკითხვა. სტალინმა უპასუხა: “თქვენ ხართ დამნაშავე. უნდა დაგემტკიცებინათ, თუ რომელი შაშხანა სჯობს”. და გაცივდა განკარგულება, რომ წარმოებოდა მოეხსენათ ტოკარევის შაშხანა და სწრაფად გადაეწყო წარმოება სიმონოვის შაშხანის წარმოებაზე.

ძნელი განსაკვეთია, თუ რა დაუჯდა სახელმწიფოს ეს ექსპერიმენტი.

1941 წლის დასაწყისი. თავდაცვის სახალხო კომისარიატი თხოვს, რომ ხუთჯერ გაიზარდოს თვითდამტენი შაშხანების წარმოება და უარი თქვან ჩვეულებრივი შაშხანების წარმოებაზე. ვანნიკოვი მოახსენებს მრეწველობის შესაძლებლობისა და გადაიარაღების ვადების თაობაზე. კომისიის

თავმჯდომარე მოლოტოვი დაასკვნის: “ჩვენ არ გვჭირდება თქვენი მოძველებული შაშხანები”. მაგრამ ვანნიკოვი ეჭვობს, რომ არმია შეიძლება დარჩეს ყოველნაირი შაშხანის გარეშე. იგი თავის ეჭვზე სტალინს მოახსენებს. სტალინმა უპასუხა: “თქვენი არგუმენტები სერიოზულია, განვიხილავთ ცენტრალურ კომიტეტში და ოთხ დღეში მოგცემთ პასუხს. ოთხი დღის შემდეგ მას აცნობებს, რომ მოლოტოვის კომისიის გადაწყვეტილება შექმრებულია.”

1941 წლის გაზაფხული. მარშალი კულიკი შემოდის კონკრეტული წინადადებით, რომ წარმოებიდან მოიხსნას მცირე კალიბრის ქვემეხები და დაიწყოს დიდი კალიბრის ქვემეხების წარმოება. მისი ხელთ არსებული მონაცემებით, გერმანელები მხოლოდ დიდი კალიბრის ზარბაზნებით აიარაღებენ საკუთარ ტანკებს და უფრო სქელი ჯავშნით მოსავენ ტექნიკას. ვანნიკოვი ყოყმანობს, წინააღმდეგობა. ოსებ სტალინის კაბინეტში ჟღანოვი შემდეგი კომპლიმენტით გამოდის: “ვანნიკოვი ყოველთვის ყველაფერს ეწინააღმდეგება. ეს მისი მუშაობის სტილი გახლავთ”. მიღებულია დადგენილება, რომ სასწრაფოდ შეწყდეს 45 და 75 კალიბრის ქვემეხების წარმოება. გადაწყვეტილება აღსრულდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ გერმანელებს ამგვარი ტანკები არ გააჩნიათ, ჩვენ კი საჭირო ქვემეხები არ გვყოფნის. დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, რომ აღმსდგარიყო და გაზრდილიყო საჭირო ქვემეხების წარმოება.

ამავე დროს იქმნება დამოუკიდებელი საქარხნო საკონსტრუქტორო ბიუროები და სამეცნიერო ცენტრები ახალი იარაღის კონსტრუქციის შექმნისა და გამოშვებული იარაღის მოდერნიზაციისათვის – საუბარია მსუბუქ ცეცხლსასროლ იარაღზე და სხვადასხვა ჯარის სახეობებისა და დანაყოფების აღჭურვისათვის აუცილებელი საარტილერიო დანაღვარებზე.

ვანნიკოვმა მიაღწია იმას, რომ სასკომსაბჭომ გარკვეული სოციალური, საყოფაცხოვრებო და ფინანსური შეღავათები და კომპენსაციები დაუწესა არტილერიისა და სხვა შეიარაღების მწარმოებელი ქარხნების შრომით კოლექტივებს. მიაღწია სტალინის თანხმობასაც იმაზე, რომ წარმოების ხელმძღვანელების სამუშაოდან განთავისუფლება და დაპატიმრება უნდა მომხდარიყო მხოლოდ სახალხო კომისარის ნებართვით. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ის ამბავი, რომ არტილერიისა და იარაღის ქარხნები სხვა წარმოებებთან შედარებით ნაკლებად დაზარალებულნი რეპრესიებით ომისწინა პერიოდში.

თავის მოგონებებში ვანნიკოვი წერს, რომ მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ ნაღმტყორცნების ერთადერთი კონსტრუქტორის შავირინის დაპატიმრებას. სახალხო კომისარმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადა. კონსტრუქტორი დაპატიმრებას გადაურჩა და მისი კონსტრუქციის ნაღმტყორცნები საუკეთესოები იყვნენ მთელი ომის განმავლობაში.

ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე – 1941 წლის 7 ივნისს ვანნიკოვი დააპატიმრეს. მას ბრალად წაუყენეს სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა და გერმანიის აგენტობა. იგი დიდი ხანი არ იმყოფებოდა საკანში. უკვე 1941 წლის 17 ივნისს მასთან ლიუბიანკის ერთკაციანი კამერაში შევიდა გამოძიებელი და პირველად მიმართა სახელთა და მამის სახელით:

- ბორის ლევის ძე, მოულოდნელად გერმანიასთან რომ ომი დაიწყო, და მტერმა ომის პირველ დღეებში წარმატებას მიაღწიოს, საით მოახდენდით ქარხნების ევაკუაციას?

ვანნიკოვმა მცირეოდენი პაუზის შემდეგ უპასუხა:

- უცებ პასუხს ვერ გაგცემთ, მაგრამ კარგად ვიცნობ იარაღის ყველა ქარხანას და სულ ორ დღეში გაგამხადებ სამოქმედო სქემას.

- ნამდვილად შესანიშნავია, - უპასუხა გამოძიებელმა, - გთხოვთ ყველაფერი ამ ფურცელზე გადაიტანოთ. - მან გაუწოდა ვანნიკოვს საკმაოდ სქელი რგველი და რამდენიმე წამახული ფანქარი (არსებობს ამ საუბრის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ყველაზე დამაჯერებლად ეს ვერსია მიგვაჩინია).

20 ივლისს ახალ კოსტუმში გამოწყობილი ვანნიკოვი ციხის კამერიდან პირდაპირ სტალინთან წაიყვანეს. კაბინეტში ასევე იყვნენ მოლოტოვი და ბერია. სტალინის მაგიდაზე ის რგველი იდო, რომელშიც ვანნიკოვმა ჩანაწერები გააკეთა. ჩანდა, რომ მასზე სტალინმა იმუშავა. სტალინმა თქვა: “თქვენს მიერ შედგენილი დოკუმენტი შესანიშნავია. თქვენ ბევრ რამეში მართალი იყავით. ჩვენ შევეცდით... არაკაცებმა კი ცილი დაგვამეს”. შემდეგ დაუბატა: “ეს გეგმა უნდა განვახორციელოთ... თქვენ უნდა განახორციელოთ, ამხანაგო ვანნიკოვ, დროს ნუ დაკარგავთ, ახლავე შეუდგით საქმეს”.

ვანნიკოვმა კატეგორიული უარი განაცხადა: “მე ხალხის მტრად ვარ გამოცხადებული. ვინ შეასრულებს ჩემს განკარგულებებს?” სტალინმა პოსკრებიშევი გამოიძახა და დოკუმენტის ტექსტი უკარნახა, რომელიც შემდეგ ვანნიკოვს გადაეცა:

“თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი. 1941 წლის 20 ივლისი, №1021. მოწმობა

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადასტურებს, რომ ბორის ლევის ძე ვანნიკოვი დროებით იყო დაპატიმრებული შინსაკომის ორგანოების მიერ, როგორც შემდეგ გაირკვა, არარსებული მტკიცებულებების საფუძველზე. ამრიგად, დღეისათვის ვანნიკოვი ითვლება სრულიად რეაბილიტირებულად.

ამხანაგი ბლ. ვანნიკოვი სკკპ (ბ) ცკკას პოლიტიბიუროს და სსრკ სასკომსაბჭოს დადგენილებით დანიშნულია შეიარაღების სახალხო კომისარის მოადგილედ და იგი სასწრაფოდ უნდა შეუდგეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. სტალინი”. აბარებდა რა ამ მოწმობას ვანნიკოვს, სტალინმა თქვა: “ზოგჯერ, სამწუხაროდ, ხდება გაუგებრობები, ისე, მეც ვიჭეკი ციხეში, ამხანაგო ვანნიკოვ”. ვანნიკოვმა უპასუხა: “თქვენ მტრებმა დაგაპატიმრეს, მე კი ჩვენიანებმა”. სტალინს რეალია არ მოეწონა: “ახლა წყენის გულში ჩადების დრო არ არის, მუშაობაა საჭირო”.

(დაახლოებით ასეთივე საუბარს აფიქსირებენ მემორანდუმები სტალინსა და ა. ბერეს შორის, სტალინსა და რაკეტათმშენებლობის 88-ე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორ ლ. გონორსა და სტალინს შორის. სერგეი კრემლიოვი კი ამას უკრანალისტების ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ამგვარ დიალოგს ერთ-ერთ მეცნიერთან მაინც ადგილი ჰქონდა).

1941 წლის სექტემბერში ბერია იმ დღეში ჩაწერა: “ვანნიკოვი ყოჩაღია, მაგრამ ცოტა შერეულია. მიუხედავად ამისა, კარგად ქაჩავს საქმეს”.

კი, მართლაც კარგად ქაჩავდა, იმდენად კარგად, რომ 1954 წლისათვის გაიქანა სოციალისტური გმირის სამ ვარსკვლავზე მათ შორის ორი მიიღო ომის პერიოდში მოღვაწეობისათვის...

საჭირო ხალხის ციხეებიდან დასახსნელად ბერიას სშირად უწევდა ძალების დაძაბვა. მისი ძალისხმევით პატიმრები შედარებით კომფორტულად გრძნობდნენ თავს. ომის დაწყებამდე ტუპოლევის საკონსტრუქტორო ბიურომ დაამთავრა მუშაობა იმ დროისათვის ყველაზე სრულყოფილ ბომბდამშენ TY-2-ზე. ტუპოლევი და მისი თანამშემოებები პატიმრობიდან განთავისუფლდნენ, მაგრამ იმავე სამუშაო უბანზე დარჩნენ. არ სურდათ მიჩვეული ადგილის მიტოვება. სხვათა შორის, ამ სამუშაო-

ბისათვის ტუპოლევი ლენინის ორდენი მიიღო, დაჯილდოვდნენ მისი სხვა თანამშრომლებიც. აი, თავისუფლებაზე ისინი თუ ამგვარ შედეგს მიაღწევდნენ, ეს ფრიად სათუო საქმე იყო.

აი, როგორ იხსენებს იმ პერიოდს საბჭოთა კავშირში ყოველგვარი სახის ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებათა ხელმძღვანელი ვ.მ. ნოვიკოვი:

“იმ დარგში, სადაც მე ვმუშაობდი ომამდელ, განსაკუთრებით კი ომის წლებში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები შედარებით მშვიდად საქმიანობდნენ. წლების შემდეგ მე არაერთხელ დამისვია შეკითხვა საკუთარი თავისათვის: “რატომ მოხდა, რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლები შედარებით ნაკლებად აწუხებდნენ იარაღის წარმოების დარგს, სადაც მე ვმუშაობდი?” და გინდა თუ არა, მივიღოდი იმ დასკვნამდე, რომ ეს ყველაფერი ერთადერთი კაცის – ლავრენტი ბერიას დამსახურება იყო”.

შემდეგ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ნოვიკოვი წერს:

“სახვასასმელია ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენი წარმოება სახელმწიფო უშიშროების სამსახურის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელის თუ თანამშრომლის დაპატიმრებები პრაქტიკულად შეწყდა... ხოლო, ჩვენი სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას ლავრენტი ბერია განსაკუთრებული მონღომებით და ყურადღებით იცავდა”.

რა თქმა უნდა, თავისთავად დაისმის შეკითხვა: მას რისთვის იხდინენ სასჯელს სხვა დიდი მეცნიერები? გასაგებია, რომ დაბეზღების გამო. მაგრამ, კონკრეტულად რისთვის? სტალინის კარიკატურების დახატვისათვის, ან ჟღანოვის საწინააღმდეგო ლექსების შეთხზვისათვის ხომ არა, როგორც ამას ლიბერალურ წრეებში თვლიან? რა თქმა უნდა, არა!

ამრიგად, 1938 წლის დასაწყისში გერმანულმა ჟურნალმა “გერმანული იარაღი” გამოსცა წერილების სერია საბჭოთა კავშირის სამხედრო ავიაციის თაობაზე. სტალინის ავტორმა, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავმა მაიორმა შეტელმა გამოაქვეყნა საიდუმლო მასალები საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობის შესახებ. (საბჭოთა კავშირში მაშინ ფუნქციონირებდა 74 ავიასაწარმო – 28 თვითმფრინავთმშენებელი, 14 ძრავებმშენებელი და 32 ხელსაწყოთმშენებელი ქარხანა). გერმანულმა მფრინავმა გამოაქვეყნა ყველა ძირითადი საწარმოს მოკლე დახასიათება (სპეციალიზაცია, ყოველთვიური და წლის განმავლობაში გამოშვებული პროდუქცია და სხვა). შეტელი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირში თვითმფრინავების გამოშვების პროცესებს დიდად უწყობდა ხელს წარმოების “სერიულობა”, როცა ქარხანა მასიურად უშვებდა ერთ მოდელს და წლიდან წლამდე ზრდიდა გამოშვებული მანქანების რაოდენობას. გარდა ამისა, გერმანულ ავტორს მოჰყავდა სხვადასხვა წერილმანები, რითაც ქმნიდა საბჭოთა კავშირში თვითმფრინავების წარმოების საერთო სურათს – კონკრეტული პროდუქტის გამოშვებასა და იმ ჩარხების წარმოებას, რითაც იქმნებოდა ესოდენ საჭირო პროდუქტი. გასაგებია, რომ ამგვარი პუბლიკაცია ვერ დარჩებოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ანალიტიკური სამსახურის ყურადღების მიღმა. ჩატარდა დიდი სამუშაო საავიაციო წარმოებასა და საკონსტრუქტორო ბიუროებში და დადგინდა, რომ ამ სფეროში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საქმე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი, (გაგრძელება იქნება)



დაეპრაღეთ რუსეთის აგენტობა — ეს დიდი პატივია

პოეზიის კუთხე

ამასწინათ, ზუგდიდიდან გავით „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი — ვლადიმერ გულია დამიკავშირდა და აღმოვაჩინე მისი მსხვილი, კანადის დედაქალაქში კომუნიზმის მსხვერპლთა მემორიალის მშენებლობისთვის საქართველოს პრემიერისაგან 20.325 დოლარის გამოყოფა არის ქართველი ხალხის დაცინვა და მხად ვარ ის 7 ლარიც გაუგზავნონ პრემიერს, რომელსაც ჩემი რეპრეზენტული მამის — კავშირგაბმულობის კომისიის რეაბილიტაციის ნიშნად ვიღებ. ჩვენი ხელისუფლება სტალინთან ბრძოლით თავის საგარეო უფროხილდება და არ ითვალისწინებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ცივილიზაციური ფონია შექმნილი. ვ. გულუამ ისიც აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ოფისში მივიდა და დიდა განაცხადა: მიუხედავად რეპრეზენტებისა, საბჭოთა ეპოქა სჯობდა ლიბერალისტების მმართველობასო. რას ფიქრობენ ამის თაობაზე პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ეროვნების ადამიანები? ბორჯომში გერმანიაში მცხოვრებ რუსი ეროვნების ტურისტებს, ცოლ-ქმარს — ნატალიასა და ვსევოდს შეხვედრი. ვთავაზობთ მცირე ამონარიდს მათი საუბრიდან: „15 წელია გერმანიაში ვცხოვრობთ. გორბაჩოვის მმართველობის პერიოდამდე რუსეთთან არაფერი გარბოდა, გარდა სსრკ-ის მტრებისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შვილები გერმანიაში გაიზარდნენ და შეჩვეულნი არიან იქაურ სისტემას, ჩვენ მაინც დავბრუნდებით რუსეთში. რომ ამბობენ ევროპაში თავისუფლებააო — ეს სიმართლე არ არის. როცა სიმშვიდის შობატურები ტარდება, შეგიძლიათ შიშველმა ირბინოთ, თუ ასეთი თავისუფლება ვინმეს ხიბლავს, მაგრამ ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმი ბავშვის მშობლები გაასამართლეს და უზარმაზარი ჯარიმა დააკისრეს იმის გამო, რომ შვილი ერთიკის გაკეთილზე არ გაუშვა. აი, მე და თქვენ ვდავართ, ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ და ვსაუბრობთ. იქ ასე ვერ ვისაუბრებთ. მეზობლები ერთმანეთს არ იცნობენ და არ კონტაქტობენ. თქვენ არ მოეწონებთ ამერიკული იდეოლოგია, არ მისწონს ის გერმანულ ხალხსაც და ხშირად იმართება საპროტესტო გამოსვლებიც, მაგრამ ხელისუფლება მათი ნების აღმსრულებელია. როცა საბჭოთა ბაზუები გავიდა გერმანიიდან, ამერიკული დარჩა და მათთან ერთად მივლი საბჭოთა ინფრასტრუქტურაც, რაც დიდ ფინანსურ რესურსს წარმოადგენდა. საბჭოთა პერიოდში ყველა ერის წარმომადგენელი ერთი დიდი ოჯახით ვცხოვრობდით, ერთ მაგიდას ვუსხევით და სადაც არაფერი გეჭონდა. ამერიკის პოლიტიკამ ერთი ერთმანეთს დაპირისპირა, ოჯახები გახლიჩა და შვილები მშობლებს დაუპირისპირა. ჩვენ ვმოგზაურობთ, ყირიმშიც ხშირად დავფარობთ, ახლობლები გვყავს, რომლებიც ძალიან განაპირობებენ არაფერს თავიანთ ფეხებს რომ დაუბრუნდნენ. მოსახლეობის 93%-მა მხარი დაუჭირა რეფერენდუმს. მას შემდეგ ყირიმში სასიკეთო ძეგრები მოხდა და ქვეყანაში მართლაც პროგრესია. ბორჯომში შარშანაც ვიყავით, მაგრამ წელს მტკი არაბები არიან და ქალაქიც დაბინძურებულია. უცხოელები იმ ცხოვრების წესს უნდა დაემორჩილონ, სადაც ჩადიან, მაგრამ მუსულმანები მაინც თავიანთი წესებით ცხოვრობენ და ევროპის ქვეყნებს პრობლემაებს უქმნიან. ბორჯომის სასტუმრო — „კრავა პლაზაში“, სადაც ერთი დამე 100\$ ღირს, არაბებმა უარი თქვეს ქრისტიანის მომხარებელი ტუალეტით სარგებლობაზე და სასტუმროს თანამშრომლებს „სურნელოვანი თავიუღო“ დაუტყვეს ლოგინში. საქართველო ყოველთვის ელიტური ქვეყანა იყო. მას შემდეგ რაც ამერიკამ უკრაინას და საქართველოს გაუკეთა, შეიძლება კვლავ რევიანის ძეგლი გეგდეთ და ბუშის სახელწოდების ქუჩა გქონდეთ? ქართველი ხალხი თუ გონს არ მოვიდა, საზოგადოებრივი აზრი არ დაუპირისპირა ქვეყნის პოლიტიკას, შეიძლება საქართველოშიც ის პროცესები განვითარდეს, რაც ევროპაში ხდება“.

დაცვლილი მისი ლექსითაც დადასტურა: — „მთაში გაზრდილი არწივი ისევე მთაში ბრუნდება“-ო. ქართველ კაცს ქართულ მიწა-წყალთან, რასაც სამშობლო ჰქვია, გენეტიკური კავშირი აქვს და სადაც არ უნდა იყოს, ეს მიწა-წყალი უხმობს და იხიდავს. ეს წინაპრთა ფეხების, სისხლის ძახილია და დიდი ტვიანის თქმისა არ იყოს, თუ არა ქართველებს. „ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი, ქვეყნად სამთხე სხვას ვის ეღირსა?“ მხოლოდ გალიბერატებულ ქართველებს აღარ ახსოვთ საქართველო. სამშობლოში დაბრუნებისთვის ხელისუფლება მოსახლეობას სათანადო პირობებს ვერ უქმნის. არ არის საშუალო ადგილები, არ ამუშავდა წარმოებები, ბანკები მოსახლეობას მარცვავენ. ქალაქის ყველა რაიონში ერთი ბანკი მოქმედებდა, რომელიც მოსახლეობას კომუნალური გადასახადების გადახდისას მომსახურების გადასახადს არ ახდევინებდა. ეს შედეგითაც გააუქმეს. ჯანმრთელობის სფეროში უკვე ექიმებიც გამოხატავენ უკმაყოფილებას: — „ჩვენ ყველას უნდა ვემსახურებოდეთ და ამისთვის სახელმწიფო დაფინანსება უნდა ჰქონდეს კლინიკებს, უნდა არსებობდეს მუნიციპალური საავადმყოფო, სადაც ყველას შეეძლება მიიღოს სამედიცინო მომსახურება და არა შერჩევით, როგორც ახლა. დახვეწა კერძო კომპანიების ინტერესებშია და არა მოსახლეობის რატიმ უნდა დავტოვოთ სამედიცინო მომსახურების გარეშე დაბალი და საშუალო შესაძლებლობების მქონე ადამიანები?“ — „ის რეფორმა კი არა, ჰანს ანდერსენის — „შიშველი მევის ზღაპარია“, — ამბობს ერთ-ერთი კარიოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი, რომელთანაც კონსულტაციის საფასური 20-დან 60 ლარამდე გაიზარდა მას შემდეგ, რაც კლინიკა გაიყვანეს, ხოლო ახალი კლინიკის მფლობელები მხოლოდ ფულს ითვლიან და არაფერი არ აინტერესობთ. დიას, მეფე შიშველია და მას მხოლოდ მოსაზროვნე საზოგადოება ხედავს, ხოლო სულელები ე.წ. რეფორმებს, ანუ მეფის სიშიშველს ტაშს უკრავენ. საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს კვადრიფიკაციური სამედიცინო მომსახურების მიღება აღარ შეუძლია და ხელისუფლებამ ისინი გაწირა, ჩარეცხა. საქართველოდან მიგრაცია ევროპისაკენ თვითადადარენისთვის გაიზარდა და პარალელურად უცხოელები იკავებენ მათ ადგილს. რას ფიქრობს პრემიერი? „კვირიკაშვილის ფიქრები — აღმაშენებელი ვიქნები?“ — ასე გართობს საზოგადოებამ ქვეყნის ხელისუფლების მიერ უცხოელებისთვის 80.000 ბინადრობის უფლების გაცემა; როგორც ჩანს, კვირიკაშვილი დ. აღმაშენებელს უტოლებს თავს: თუ აღმაშენებელმა 118წ. 40.000 ვიფანდის ოჯახი ჩამოაღებდა საქართველოში, რითი ვარ მასზე ნაკლები, ან არაბები, ეს ეგზოტიკური არსებები და ჩვენი „ისტორიული მეგობრები“ რითი არიან ყოველდღეუნი ნაკლებნი? ჩვენ არ გვირბან არც ევროპელი, არც ამერიკელი საქართველო, ჩვენ ქართული საქართველო გვირბან, მაგრამ ეს საქითი არ აღვლევს ხელისუფლებას. ევროკავშირის საპროექტად და თავიანთი ლიბერალისტული უკანაღისათვის საგარეო მსხარაწინებლად სამშობლოს მივიღიან და თითოეული უცხოელისაგან 35.000\$ იღებენ. თავის დროზე რუსეთის შემოსვლამ წერტილი დაუსვა უცხოელების თარეშს საქართველოში, ამიტომ მივესალმები „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ რუსეთთან დიპლომატიის დაწესების ნებისმიერ მცდელობას. ქალბატონი ადა მარშანას რომ თავისი მამულ-დედული უყვარს და გულწრფელია, ცხადია, მივესალმები მის განცხადებებსაც პარლამენტში: „ჩვენ სოხუმიში შეგდებართ თუ ნატოში, რად გინდა ნატო“ მაგრამ რა ვუყოთ ი. ინაშვილის განცხადებებს: „მტერია, აბა რა არის, ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული“, „რუსეთი საერთაშორისო ბანდიტია“, თარხან მოურავის განცხადებებს: „ნახეთ რა უქნა რუსეთმა უკრაინას“; „ჩვენ უკეთეს პარტნიორებს გავუწიეთ ამერიკას“. N1 ტერორის ქვეყანასთან პარტნიორობა არც საამაყოა, არც სატრიაბასო, ნებისმიერი პარტიოტისათვის მხოლოდ სამარცხვინოა. ეს განცხადებები ნაცებისა და ამერიკის ელჩის საამებლად გაკეთდა თუ მართლა ასე ფიქრობენ? კომენტარი მკითხველისათვის მიმიღივია, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ვ. კვირიკაშვილის საავტორო გადაცემას, რომელსაც კვირაში ორი დღე ეთმობოდა და მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა, ახლა ორ კვირაში ერთი დღე ეთმობა? რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების მსურველ პარტიას ხომ უნდა გაეფართოვებინა ამ გადაცემის ფორმატი? საყურადღებოა ერთი გადამოცემა: სააკაშვილი ერთ-ერთ ფორუმზე ჩანაწერში ამბობს, რომ ამერიკის X სენატორებს ირმა ინაშვილის გაყვანა უნდათ პარლამენტში. როგორ ფიქრობთ, როდის გახდა ტერიორისტი ქვეყანა ისეთი გულმხმობით, რომ საქართველოს პარლამენტში პარტიოტის გაყვანა მოისურვა? თავის ინტერვიუში (გაზეთ „ქრისტიანა +

31.05.2016წ.) ი. ინაშვილი საუბრობს: „25 წლის ვიყავი, როცა პირველად ბრიუსელში ჩავიდი (20 წლის წინ — ი.თ.) და მაშინ დაიწყო საუბარი საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე“. „ევრაზიული კავშირის მომხრეებს დიად ვეუბნებით, რომ საქართველო არ გაწევრიანდება აღნიშნულ კავშირში, რადგან ჩვენ უკვე ასოცირების ხელშეკრულებით ევროკავშირისკენ მივდივართ“. ი. ინაშვილი არ მალავს, რომ 20 წლის წინაც დასავლეთს ეტროვდა და პოლიტიკურ აღმართზე ოცნებობდა. — გზა მშვედობისა, ირმა! იარეოთ ევროპისაკენ, მაგრამ ქართველ ხალხს თავი დაანებეთ! ამერიკული იდეოლოგია ან მისი აგენტობა თუ პარტიოტისმია, მაშინ მეფე ერეკლე და სტალინი ამერიკის აგენტები ყოფილან, ჩემი იდეოლოგიით მე რუსეთის აგენტი ვარ გენეტიკურად, რადგან პეტრ-ბურეში თურქული განათლებამიღებული ჩემი პაპა სტალინის თანამებრძოლი იყო, პოდა, დამაბრალეთ რუსეთის აგენტობა, ეს ისეთივე პატივია ჩემთვის, როგორც შუა-საუკუნეების აღმოსავლეთის მბრძანებლების მიერ ქვეშევრდომისათვის ქვეყნისთვის გავწული დვაწლის გამო ნაბობები ხალაოთ. დასავლური იდეოლოგია მძულს და ეს არის სიძულვილი სიყვარულისაგან, ანუ ეს სიძულვილი ჩემი სამშობლოს სიყვარულმა განაპირობა. შედარებას კი სასურველსა და საძულველს შორის ჩემი უსაყვარლესი პოეტი — ლორდი ბაირონი მკარნახობს: „აბა რით არ სჯობს მტევანი ქარვის, საზოგადოებრივ მატლებს, რით არ სჯობს ნეტავი“ შეიძლება თუ არა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება? ამ საკითხზე არაერთხელ ისაუბრა ერთადერთმა რეალურმა ექსპერტმა — პ. ჭიპაშვილმა: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება არ ნიშნავს მწკნინე უკვე ევროკავშირის წევრობისათვის. ასოცირებული წევრები არიან ლათინოამერიკის და ჩრდილოამერიკის ქვეყნებიც, მაგრამ ისინი, ამავე დროს, სხვა ორგანიზაციის წევრებიც არიან. ასოცირება არ ნიშნავს, რომ არ ვიყოთ სხვა რომელიმე კავშირის წევრები. ევროკავშირთან ასოცირება ევროპისათვის მომგებიანია, რადგან თავის პროდუქტს ჩვენთან ქვეყნებში ასაღებს (შინაოფერის პროდუქციით ჩვენი მოქალაქე მოიწამლა — ი.თ.), ხოლო ჩვენ ლიმიტი გვიწესდება პროდუქტის შეტანაზე, რომელიც უკრაინამ უკვე ამოწურა. საშუალოდ, მოტივირებული ლიბერალისტ — ლ. ბერიკიშვილს მხოლოდ ერთ საკითხში ეეთანხმები — ი. ინაშვილი ყველაზე კარგად იტყუებს ხალხსო. ჩვენი გვაქვს უფლება გავერთიანდეთ ევრაზიულ კავშირში, მივიღოთ დამკვირვებლის სტატუსი, როგორც მთლიანად. ტელეკომპანია „იმედმა“, „პატრიოტთა ალიანსის“ ვიზიტი რუსეთში მოსახლეობის პარტიოტულ გრძობებზე თამაშად მიიჩნია. რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა მართლაც პარტიოტისმთან არის გათვითქმენილი და ეს აღიარა ტელეკომპანია, მაგრამ როცა რუს პოლიტიკოსებთან საუბარს ასე იტყუებ — „რუსეთი ოკუპანტია საქართველოს მოსახლეობის თვალში“ — გონიერული არ არის. რატიმ ამერიკელს არ უწოდებენ ტერორისტებს? აფხაზეთისა და სამჩაბლოს მოსახლეობა არ თვლის თავს ოკუპირებულად და არ უნდათ ლიბერალისტული საქართველო. უსაფრთხოების მხრივ რუსეთის გვერდით თავსაც დაცულად გრძობენ და ეს რევიონებიც ლიბერალისტ-კულდარისტების ჯლიგინისგან დაცულია. „პატრიოტთა ალიანსის“ საქმინი „სამედიცინო“ ერთ ქართულ ანდაზას მაგონებს: „ასე ჩემო მანასო, ხან ასე და ხან ისე“. ქართველმა ხალხმა უნდა გაიაზროს, რომ, თუ არა რუსეთის ფაქტორი დღეს აქ ერავი, ლიბია თუ სირია განმეორდებოდა, თუ არა რუსეთის ფაქტორი, რას დამართებდნენ საქართველოს ისლამისტები, რომელნიც შუაგულ გერმანიაში პოლიციური რევიმის პირობებში ტერაქტებს აწყობენ და ქალებს აუპატიურებენ? პროდასავლური შიზოფრენია, რომელმაც მთლიანად მოიცვა საქართველო მიმიდინარე აქციების ჩათვლით ბ. ივანიშვილის წინააღმდეგ (დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხის გაბრიყვება. ნაცნობიკვრებს უცხოელებისთვის მიყვლილი მიწები არ გაუპროტესტებიათ) იმ ეპოქას მაგონებს, სტალინის „კულტის“ შიზოფრენიით რომ იყო შეპერობილი. ახლა რამდენი „კულტი“ გვაქვს, იქნებ დავთვალოთ? — ამერიკის ელჩი, ტრამპი, ევროპარლამენტი, კვირიკა, მარგველა და ა.შ. ყველა ისე უბერავს, როგორც უნდა და როგორც არ უნდა ქართველ საზოგადოებას. ქართველმა პოეტმა ჯერ კიდევ იმ ეპოქაში დაგვისვა შეკითხვა: „ჩემო ქართველნი, იმ ერთის ნაცვლად როდემდე ვივლით ამდენი „კულტით“, როდემდე ვივლით ლაჩარი — ლაჩარად, პირში ჩაჩრილი ამხელა ბურთით?!“ P.S. რა მშვენიერი იქნებოდა სამეარო ამერიკის გარეშე!

გაგაცნოთ უკრაინელებს ყვარყვარე და კვაჭი, რომ აღარ გაუჭირდეთ, გაერკნენ, საიდან შეიქმნა „გაუკრაინებულ“ მიხეილ სააკოვ-საკაშვილის ვარიაგულ-კიევიური სიმბიოზი. პარალელური

სამლიძნელო პირანბო „სურდა კივიდან გალიჩამდე მთელი ქვეყანა გადაეთქრა“. (საუბარია პან დანილოს მკვლელები) ნ.ბ.ბ.ბ.ლი, „საზარალი შურისძიება“

მიხოს უცხო გენითა და დაგეშილი ვერაგებით, უკრაინულ ენითა და „უკრაინკა“ პერანგებით, სურს, რომ ხალხი გადაროს, ასე ადრეც უკვლავს იმას, ვისაც უნდა, პან დანილოს სისხლით მორწყას უკრაინა!

სხვისი ჭია „მაიდანზე“ გაჭრილს ცერცვად რომ შეგაყარეს, მიხოს, ანუ კვაჭი და ასობით ყვარყვარე, უკრაინავ, რა გჭირს, სხვის ჭიას რად ახარებ?

ვერდიშტი ყვარყვარეს და კვაჭის ნაჯვარს რადგან თან სდევს ხალხის ტანჯვა, მას არ უნდა ეხარა შინ და არც მომე ქვეყანაში, „ნაცები“ რომ შეყარა შიგ!

ალექსანდრე შენბელია აბაშა უძველეს მიწას, მიწას კოლხეთის აქ საჭყონდილოს მადლი ჰყვნიდა და ამ ტაძრებთან ახლოს მოხვედრილი, წინ შეგხვედრილი დიდი გენია.

აბაშას ჰყავდა დიდებულები, ნიჭით და ცოდნით მარად ქებულნი. მათი დვაწლია წყარო უღვევი და მათ ვისხენებთ აღტაცებულნი.

თუ უფრო მეტად წარმოჩინდება და დაფასდება აბაშელთ ნიჭი. იქნებ მერმისში კვლავ აღმოებწყინდეს ზღვის ერთი წვეთი ნათელი ფიქრის.

ჩვენი ცნობილი აბაშელები, იყვნენ, არიან კვლავ ასპარეზზე. ხელი ხელს მივცეთ ნუ დავიშლებით და ჩვენც ვიართო მათ ნაკვალევზე.

დგას შემოდგომის ბოლო დღეები ჩუმიად მდებარდება აქ მისტერია. თითქოს გვეღვეშავს ისევ შეგები, ის ხომ სიკეთის დიდი მტერია. ვარ მოგზაური მრავლის მნახველი, რწმენა ქრისტისი ჩემი ფარია და ანგელოზი ნათლის მფარველი ორთაბრძოლაში მე მაფარია.

ნათელი ფერთ შთაგონებული სიცოცხლეს მადლავს ღვთისებრი მუხა და სიყვარულით გულანთებული მწადს სათნობას მე რადაც ვუთხრა. მისთვის დაწვერო დიდი პოემა აუღვარდება სულში ლამპარი. ჩანს წუთისოფლის ამოება და ვგვრებ ქვეყანას როგორც მხატვარი.

სტორფა რე შურის ჯღონა, განათუნს რუმე გურს წყონდა ხატიშ მემუჯინე თოლ ოლაფუე ჩილაამურს.

სქვამას მოჩქე ოდაბადე, სვამა ეიკინანს შურს. ცაში სინთეთ გუმარჩქილე მეგუპამე ნოთეთ გურს.

მამებერ ტიბუ რინა, თე სიწკონდას აშაყუნს. ღორონთიშ დიდა მომარჩქილე, სასოროფოთ ხვამა ფუნს!..

მაღსაზ ბრიბოლია, აბაშა

მერაბ კოსტავას პოეზია

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

„სადღით ქორწილის მყარი“ პოეზია არის რელიგიურ იდეალებთან წინააღმდეგობრივი მხატვრული სიტყვა, რომელიც უნდა ემსახუროს სარწმუნოების განმტკიცებას და ერს გაუძღვეს სასუფეველისკენ, სულის უკვდავების გზაზე...

ლექსში „ბაღდად ღომისფაფარიანი (1,17) რამდენიმე საღვთო სახელია: უფსკრული სინათლისა, დაუშრეტელი მზერა, პური ცხოვრებისა, წყარო უკვდავებისა, ცის ბინადარი. აქვე, მარიაზე მიგვანიშნებს „ხელთუშტიკისი ბუკედი, დაუჭკნობელი ყვავილი, ქალწულის კლემა“.

ღმერთი არის „ნათელი წუთისოფლი-სა“ (იოანე, 8,12) (2,196), „ნათელი ჭეშმარიტი“ (იოანე, 19,10) (2,176).

ღმერთი არის ჭეშმარიტი პური, „სიცოცხლის პური“: „მამაჩემი გაძღვეთ ჭეშმარიტ პურს ზეციდან, რადგან ღვთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს“.

„მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოსივდება და ჩემს მორწმუნეს არ მოსწყურდება.“

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ვინც ამ პურს შეჭამს, საუკუნოდ იცოცხლებს“ (იოანე, 6).

ღმერთის მახასიათებელია დაუშრეტელი მზერა: „უფლის თვალს ათასჯერ ნათელია მზეზე. ის ადამიანის ყველა გზას ჭკრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23,19) (6,50).

„ის თვალს ავლებს ქვეყნის კიდებებს, მთელ ცისქვეშეთს ხედავს“ (იობი, 28,24) (19,538).

ღმერთის თვალები „განჭვრეტენ სწრაფად“ (ფს. 16/17,2) (2,554).

„ჩემი ჩანასახი იხილა შენმა თვალებმა და შენს წიგნში ჩაწერილია დღენი მომავალი ჩასახვისა“ (ფს.138/139,16).

„ღვთის სიტყვა... არცერთი ქმნილება არ არის დაფარული მისი ხედვისაგან, არამედ ყოველივე გაშიშვლებული და აღია მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგაროშს“ (პავლე მოციქული, ებრაელთა მიმართ, 4,12,13) (2,472).

ცა, ცის სასუფეველი არის ღმერთის სახანე.

ცვარ-მარგალიტი ღმერთის სახელია: „ვიქნები ცვარი ისრაელისთვის აყვავდება, როგორც შრომანი და ღებანივით გაიდგამს ფესვებს“ (ისაია წინასწარმეტყველი, 14,6) (6,273).

მარგალიტი საღვთო სახელია (19) (9,122). ქრისტეს ეწოდება „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 2,216) (2,521).

„ამ სოფლად მოვლინებული ბინადარი ცისა“ არის ქრისტე.

მერაბ კოსტავას ლექსში იესო ქრისტე მოხსენებულია, როგორც „შუქთამთოვი და მანანას მთოვარი“ (შენის ირლანდიას მზიური ღანდი) (1,72).

ფსალმუნში ნათქვამია: „უფალი შუქი არის და ხსნა ჩემი, ვის შეგუშინდე?“ (ფს.26,1) (2,54).

„გამოგზავნე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი. ისინი წარმიძღვებიან და მიმიყვანენ შენს წმინდა მთასთან და შენს სამკვიდროსთან (ფს. 43,3) (25,66).

„ისხენი ჩემი სული სიკვდილისგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“ (ფს. 56,14) (2,580).

მანანას, ზეციური პურის მომცემი არის ღმერთი. ამ სახის წყაროა ბიბლია. ვეგიპტედან გამოსვლისას მშობერ ებრაელებს ღმერთმა საჭმელად მისცა ზეცის პური, სახელად მანანა, ორმოცი წელი ამ პურით საზრდოობდნენ ისრაელიანები, ვიდრე ქანანაში მივიდოდნენ (გამოსვლა, XVI-16) (20,73-74).

ლექსებში „სფინქსი“ (1,76-77) საღვთო სახელებია „უზესთავის“ და „სიბრძნის წყარო“.

იოანე დამასკელის მიხედვით, ღმერთი არის „უზემოესი“ ზეარსი, ზეკეთელი, ზესრული“ (18,19,325) (327).

ღმერთი „არის არსთა არსების წყარო“, „სიკეთის წყარო“ (13,326,338).

ლინეკა უფლის სახელებად ლექსში „ღე ჩამოიქცეს“.

„ცისკრის ვარსკვლავის“ წყაროა იოანეს გამოცხადება.

ფსალმუნში „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (2,614).

ბიბლიაში ღმერთი არის „მზე სიმართლისა: „ამოგობრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე“ (მალაქია წინასწარმეტყველი, 3,20) (6,307).

ლექსში „ეტიუდი“ (1,80-83) გადაგვარებული სული ხსნა არის „სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება“.

ღმერთი არის „სიბრძნე და ბრძენი“, ღმერთი ითქმის „გონებად, აზრად, სულად, სიბრძნედ, ძალად“ (იოანე დამასკელი) (13,341).

დავით წინასწარმეტყველი მიმართავს ღმერთს: „შენა ხარ მშვენიერა მათი ძალისა“ (ფს. 68,18) (2,619).

„უფალი, სიმშვენიერით და ბრწყინვალეობით ხარ შემოსილი“ (ფს. 104,1) (2,633).

დავით წინასწარმეტყველი ხაზს უსვამს უფლის „დიდმშვენიერებას, დიდებას, ბრწყინვალეობას“ (ფს. 145,5) (2,679).

„ბიბლიურ რემინისცენციებში“ (1,87,102) საღვთო სახისმეტყველების ნიმუშებია: უწრდილო ნათელი, ცხოვრების სული, მეუფე, განმტკიცელი, გამოუთქმელი, ერთადერთი, ცისარტყელა, პირველი სხივი, სამყაროს არქიტექტორი, მსოფლიო სცენის დრამატურგი, რეჟისორი, სული ცხელი, მზის სული, შუადამის მზე, ძე მადლის, სიტყვა, ჭეშმარიტება, ნათელი, გულთამხილავი, ერთარსება, წარუვალი ძალა, მიძღვართ-მიძღვარი, მომავლის სვეტი.

ლექსში წინა პლანზეა საღვთო ტრობა, საღვთო ცეცხლი.

ბიბლიაში ღმერთი არის „სული გონიერი“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,22) (6,24).

„სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლება“ (იოანე, 4,240) (2,184).

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, „სულიცა უფალი არს, ღმერთი სულია სახიერი, ღმერთი სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისგან გამოვალს“ (14,15).

დანტე ღმერთს მოიხსენებს, როგორც „პირველქმნილ სულს, მადალ სულს, უღრმეს სულს“ (8,285,335,383).

გოეთეს „ფაუსტში“ ღმერთი არის „ღიადი, დიდებული სული, მიწის სული“.

მერაბ კოსტავა ღმერთს უწოდებს „ცხოვრების სულს, მზის სულს“. „ცხოველ სულს“ მიმართოთ წყაროებს. ღმერთი არის მზე, სინათლე, გამოუთქმელი, ერთი, ერთადერთი, მეუფე, (იოანე დამასკელი) (13,322).

ქრისტიანული სამების გამოხატველია მზის სახე, რომელშიც მამაღმერთს ეწოდება მზე, ძე ღმერთს – შუქი, სხივი, სულიწმინდას – ნათელი.

სხივი, პირველი სხივი ძე ღმერთის სახელია ბიბლიაში: „ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია, 60,3) (6,118).

პირველი სხივი ძე ღმერთის სახელია გალაკტიონის პოეზიაში (10,29-32).

დაბადების წიგნში მოთხრობილია, როგორ გააფრთხილა ღმერთმა დასჯით კაცობრიობა უზნეობის გამო. მკვრამ 120 წელი არ აღმოჩნდა საკმარისი ცოდვილი ადამიანების მოსაქცევად. მაშინ ღმერთმა წარუგზავნა მოუვლინა გადაგვარებულებს და გადაარჩინა მხოლოდ კეთილმსახური ნოე, რომელსაც გააკეთებინა კიდობანი, რათა შიგ შეეყვანა თავისი ოჯახი და ყველა სახის ცხოველი. ხუთი თვე სტიქია მიჰინჯავრებდა, ერთი წელი დაჰყო ნოემ კიდობანში და როგორც კი გადაარჩნა, მაშინვე სამადლობელი შესწირა ღმერთს. ღმერთმა კეთილად მიიღო ნოეს მსხვერპლი და აღუთქვა, რომ ამის შემდეგ აღარ იქნებოდა წარდგენა. თავისი აღთქმის ასრულების ნიშნად უჩვენა მას ცაში შეიდგვროვანი ცისარტყელა (დამ.ქ.7,24,8,1-22,9,11-24).

ამის შემდეგ ცისარტყელა ღმერთის წყალობის, უზენაესის გამოცხადების ნიშნად ითვლება ბიბლიური წიგნებისა და სასულიერო ტექსტების საფუძველზე.

საღმრთო სახელია ცისარტყელა (9,122). ანტონ კათალიკოსი თავის „მარტირი-

კაში“ იესო ქრისტეს წარმოსახავს ცისარტყელად. ირისე ღვთისმშობლის სახელიცაა (9,112).

ლექსში „მზე ჯოჯოხეთის კუპრი ხართ ნახადი“ (1, 85-86) მერაბ კოსტავას იდეალად ესახება ეპოქები, როცა „ჰყვაროდა რწმენის მისტერია“. ნაწარმოებში „თავად ქრისტე არის ვენახი“. ამ სახის საფუძველია ბიბლია.

ბიბლიაში ორგვარი ბაღი და ვენახი გვხვდება – მიწის და ზეცის.

მიწის ვენახი ებრაელი ხალხის პარადოგმაა: „უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას სახლია, მისი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7) (6,77).

ზეციური ვენახი, ჭეშმარიტი ვენახი ქრისტეს სიმბოლოა: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ (იოანე, 15,1) (2,203).

პოეტი საუბრობს ცამეტ ასურულ მამათა შესახებ. მამა დავითის ღვაწლზე.

ეს სულიერებით გამორჩეული წმინდა მამები „ბილწი დრაკონისა“, ეშმაკულთა დამარცხებით არიან ცნობილი.

ნაწარმოებში კანონიკური საღმრთო სახელებია: ირისე, კეთილი მწყემსი, ნათლის სვეტი, წყარო ცხოვრების, უსახელო.

ირისეს (ცისარტყელას) შესახებ ზემოთ გვეყვება საუბარი.

კეთილი მწყემსი ქრისტეს სახელია: „მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის“ (იოანე, 10,1) (2,201).

ნათლის სვეტის წყაროა ბიბლია. ქანაისკენ მოსეს მეთაურობით მიმავალ ისრაელიანებს „წინ მიუძღოდა... უფალი დღისით დარბობის სვეტში გზის სანათებლად, რათა ევლოთ დღით და ღამით“ (გამოსვლა, 13,21) (20,71).

ნათლის სვეტი საღვთო ნათლის ვარაჯიანია.

„არეოპაგეტულ კრებულში“ დიონისე არეოპაგელს ეწოდება „ნათლის სვეტი“ (20,180), „სათნოების სვეტი“.

ნათლის სვეტი ღმერთის გამოცხადების ნიშანია: „სუეტისა მიერ ნათლისა გამოცხადებითა... აღაშენე ხევი ეგე უდაბნოსი“.

შატბერდის კრებულსეულ „ნინოს ცხოვრებაში“ ქართლის მოქცევის შემდეგ დანახული ნათლის სვეტი ქრისტეა. ნიკოლოზ გულაბერაძის „გალბანი სუეტისა ცხოველისანი“ ნათლის სვეტის მრავალ ვარიაციას შეიცავს. აქვე ყოველად წმინდა სვეტში“, რომელიც ასოცირებულია ნათელთან და „დაუფალ მზესთან“, ქრისტე გვეცნაურება (22,538).

უცნომი პიმნოგრაფი წმინდა ნინოს უწოდებს „ნათლის სვეტს“: „შენ ხარ მოძღვარ ქართლისაი, სვეტი ნათლისაი, ცვარი ღრუბლისაი, მზრდელი სულისა, მასწავლელ სიხარულისაი“ (გალბანი ნინოსისა) (24,481). იოანე მინჩხი ღვთისმეტყველ უწოდებს „სულიერ სვეტს“, ბასილი საბაწმინდელთან წმინდანია „ნათლის სვეტი“, იოანე შავთელის „აბღულმესიანში“ თამარს ეწოდება „სვეტი სჯულისა“, „ცნობის სვეტი“, „ახოვნების სვეტი“.

მერაბ კოსტავას „ნათლის სვეტის“ ადრესატი არის ქრისტე ღმერთი. „დაუსაბამო, მიუწვდომელი, უსახელო“ საღვთო სახელებია (იოანე დამასკელი) (13,332).

„სულის მახვილის“ წყაროა ახალი აღთქმა.

პავლე მოციქული გემოდღვრავს: „...ჩვენი საბრძოლო იარაღი ხორციელი კი არ არის, არამედ არის ღვთიური ძლიერება სიმაგრეთა დასანგრევად“ (II კორინთელთა, 10,4) (2,396).

„იდექით ჭეშმარიტებით წელზემოსარტყულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილნი“.

„...იღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შესძლებთ ბოროტების გაგვარებულნი ისრების ჩაქრობას.“

აღეთ ხსნის ჩაქანა და სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა (პავლე მოციქული, ეფესელთა“ 6,14,16,17) (2,422).

პავლე მოციქული მოგვიწოდებს: „...ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და

სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით“ (I თესლონიკელთა, 5,8) (2,442).

ლექსში „შიმშილობა“ (1,131-143) კანონიკურ საღმრთო სახელთა მთელი წყებაა: პური არსობის, ჭეშმარიტება, ძე, მადალი ცა, გზა, კარი, ახალი ცხოვრების კარი, ციური ცვარი, სიწმინდის კვართი, კაცობის მდინარე, რწმენის წყარო, ცხოვრების წყარო, პური, გარეშეუწერელის სახსება, დიდი გამწენი“.

ბიბლიურ რემინისცენციებში (1,87-102) რელიგიური სიმბოლიკის მრავალი, ნიმუშია: უწრდილო ნათელი, ცხოვრების პირველი სხივი, სული ცხოველი, მზის სული, შუადამის მზე, ძე მადლის, სიტყვა, ჭეშმარიტება, ნათელი, გულთამხილავი, ერთარსება, წარუვალი ძალა, მოძღვართ მოძღვარი, მომავლის სვეტი, რომელთა უმეტესობაზე უკვე გვეყვება საუბარი.

„ერთარსების“ შესახებ წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „ღმერთი ერთია ანუ ერთი არსება“... სამ გვაძოვნებაში შეიცნობა და არსებობს იგი მამაში, ...ძემი და წმინდა სულში, რომ მამა, ძე და სულიწმინდა ყოველიერთ ერთია (13,322). ღმერთი არის „ყოველის შემდეგ ძალა“ (13,338).

მერაბ კოსტავას ლექსში ღმერთის სახელებია „სამყაროს არქიტექტორი, მსოფლიო სცენის დრამატურგი, რეჟისორი“.

ღმერთი ასე მოიაზრება ახალ აღთქმაში: „ვინაიდან ელოდა ქალაქს საძირკვლიანს, რომლის მშენებელი და შემოქმედი ღმერთია“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 11,10) (2,483).

პოეტი სამყაროს, ჭეშმარიტი არსებობის საწინდარად სახავს საღვთო ცეცხლს, საღვთო ტრობას.

„ჭეშმარიტებად ერთს სცნობდა გონი“, ამბობს პოეტი. სრულყოფილი ცნობიერების ადამიანები უპირველესად, ჭეშმარიტებას, ღმერთს ეძებენ: „უბირი მონა ცხოვრებაში ეძებს სასწაულს, თავისუფლების მეტრეფე მხოლოდ ჭეშმარიტებას“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,94).

ღმერთის სახელებია მზის სული, ძე მადლის, სიტყვა, ჭეშმარიტება, მზე, ნათელი, გულთამხილავი, ერთარსება.

„მზის სული იგი სამ წელიწადს მიწაზე ივლის, სული ცხოვრების, ძე მადლისა, სიტყვა ღმერთისა, ჭეშმარიტებას იტყვის ორგზის ნაშობი შეილი, ნათლისღებისას დედამიწას ვინც მზედ ეწვია და სამი წელი დადიოდეს უწინრად ბრბოში, ნათელი იგი, რომელს ბნელი ევლარ ეწია. განა დაფარულს არ კითხვოდა გულთამხილავი, წაღთა შიგან დაფარულთა ფიქრთა განდობა ერთარსებისათვის საკმარისი არ არის განა!“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,95).

ამავე ლექსში ნახსენებია ნოე, როგორც თევრი (განდობილი) და მისთვის გზის მანქანებელი „დემიურგი“ (ღმერთი) (1,97).

ღმერთი არის შეუცნობელი, გამოუთქმელი (ი. დამასკელი).

„გამოუთქმელმან აგვასაზა ფარი, ძე მოგვივლინა, ვით გზა და კარი... გზა, კარი ღმერთის სიმბოლოებია.“

ღმერთი არის „სვეტების საწყისი“ (გალაკტიონი).

მერაბ კოსტავა აქცენტს აკეთებს გალაკტიონის რელიგიურობაზე, ამოების უარყოფასა და უხილავისადმი ინტერესზე: „სხივისთვის უხილავს ჭკრეტდი ეთერში, ამოებას არ დაემონე, ვით სოკრატეში, ვით გოეტეში, შენშიც მძღვარობდა ის დაიომონი“ (1,151).

ღმერთი აქ შემოქმედებითი გენიის სინონიმია, რომელსაც ამავე ლექსში მოიხსენიებს, როგორც „შენდობის ღირსს და საანგელოზის (1,151), მათგან განასხვავებს „მაცდურ ღემონს, ლუციფერს, ეშმაკს“).

„უხილავი“ ღმერთის სახელია: „ხოლო საუკუნეთა მეფეს, უხრწნელ, უხილავ, ერთადერთ ღმერთს – მას დიდება და პატივი უკუნითი უკუნისამდე“ (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 2,17) (2,449).

მერაბ კოსტავა მიმართავს გალაკტიონს: „მარადისობა თავისთან გინძო... თუ თავად შენ ხარ მარადისობა, წარსული, აწმყო და მერმისობა?“ (გალაკტიონი) (1,158).

ლუარა სორდია



OPENIUS, დიდაბა უნდა!

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

– გასაგებია, მეცნიერება თავისას ითხოვს, მაგრამ ავადმყოფს რა? ეშველება, გამოჯანმრთელდება?

– სამწუხაროდ, არა. – თქვა გუჯამ, – საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკურ ვითარებას კრიტიკულად, გამაფრებელი ნეგატიური მოციებით აღიქვამს და თავის აზრებს, შთაბეჭდილებებს ქალაქზე გადამსხვავებული ინტელექტუალი ვრავლობის მატრიცად... ზედმეტ სახელს მისტიკოსს ეძახიან...

– ეს ძალზე საინტერესოა. – ჩაილაპარაკა ბატონმა რამაზმა და ბლანქზე ხელისუფლი ჩამოიხვია.

ბუნწულა ექიმი წინარად იჯდა. ცივ ლუღს ყლუპ-ყლუპით სვამდა.

– ეს ძალზე საინტერესოა. – გაიმორრა რამაზმა დუმილის შემდეგ და მეგობარს უთხრა, – გუჯამ, ხომ იცი ფსიქიატრია როგორ მაინტერესებს... იქნებ მოახერხო და საიქიოში გასაგზავნი წერილი წამაკითხო?

– პრობლემა არ არის. ხვალ წავიკითხავ თუ არა მოგვემ. – შეპირდა ექიმი და დაუმატა, – ისე, შენთვის როგორც პოლიტოლოგისთვის საინტერესო არ იქნება.

– წავიკითხავ როგორც ფსიქიატრის მოყვარული.

რესტორანში ჩვენი შეხვედრიდან ორიოდე კვირის შემდეგ ტრადიციითავე ხსნის ინსტიტუტის მესიაკონთა საბჭომ ისტორიული დადგენილება მიიღო, რამაც დემოკრატიის შობით გახარებული, მაგრამ ოდნავ დასუსტებული მელოგინე საქართველო საშინელებისგან იხსნა. გადარჩინა ტუნზე დედისრქეშუმშრალი ჩვილი, სახელად ოპენიუს დემოკრატია!

დღის სამი საათისთვის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი საესე იყო. მიუხედავად თბილისური ზაფხულის სიცხისა, ყველა სწავლულს კოსტუმი ეცვა და პალსტუხი ეკეთა, რაც ოფიციალურ-სახეიმო განწყობილებას მეტ კეწს მატებდა, ხოლო რამაზის ჩირაღდნები სწავლულებს მისტიურ შარავანდელში ხვევდა.

დარბაზში თანამშრომლების გარდა, სხდომას სხვა უამრავი ადამიანი ესწრებოდა. ამიტომ სწავლულებმა ამჯობინეს ინგლისური ენის ნაცვლად მათთვის გასაგებ პრიმიტიულ ენაზე ელაპარაკათ.

ბატონი რამაზ რახუნაიძე ჩვეულ ფორმაში იყო. კათედრასთან ენერგიული ნაბიჯით მივიდა, დარბაზს თვალი მოავლო და მესიაკონთა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. შესავად სიტყვაში ბრძანა: თავზარი დამცა ბეჟუნდის საზოგადოების დანაშაულებრივმა გულგრილობამ, უპირველეს ყოვლისა, ბეჟუნდის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის ძირვამომთხრელურმა საქმიანობამ. შეიძლება ითქვას, რომ მან საავადმყოფო ჯაშუშთა საიდუმლო ბუნავად გადააკეთა. ამ საავადმყოფოს თავს აფარებს და გიჟის როლს თამაშობს ძალზე საშიში ტერორისტი, რუსეთისა და საიქიოს ჯაშუშები ბეჟუნდარელი, მეტსახელად მისტიკოსი!

ამ სიტყვების გამოგონებისას გასუსულ დარბაზს ოხვრა აღმოხდა.

– ქალბატონებო და ბატონებო! – განაგრძო ინსტიტუტის დირექტორმა, – თქვენ კარგად იცით ის, რომ ტრადიციითავე ხსნის ინსტიტუტში შეისწავლება ისეთი ურთულესი და აქტუალური პრობლემები, როგორცაა ქალწულობის ინსტიტუტის, როგორც ერის გამრავლების ხელისშემშლელი ფაქტორის გაუქმება; ერთნაირსქესიანთა ქორწინება როგორც ადამიანის თავისუფლების უმადლესი გამოხატულება; ქართული სუფრისა და პომოსექსუალიზმის ურთიერთგანპირობებულობა; ქართველის დედის სიმბოლოს ჰიპოპრესიული ინტერპრეტაციის განზოგადება; ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერლის საკუთარ დედასთან სექსით ტკობის შესახებ შექმნილი რომანის უარყოფითი შეფასება რეტროგრადი საზოგადოების მიერ და ამ შეფასების დაგმობა; ქართულ ხალხურ სიმღერებთან შედარებით რეპის უპირატესობის წარმოჩენა; ქართულ ქსენოფობიასთან სხვადასხვა რელიგიური სექტების შეუთავსებლობის

აღმოფხვრის გზების ძიება და მრავალი სხვა, რომელთა შესწავლა და ჩვენი რეკომენდაციების ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხელს შეუწყობს ძველი, დრომოჭმული ტრადიციების დაძვევას და ქართული სულის ამერიკულ, პროგრესულ სულთან ინტეგრაციას, გაგვიადვილებს ამერიკის სულთან შერწყმის პროცესს.

ბატონმა რამაზმა ჭიკით წყალი მოსვა, ჩაახველა და ნაკლებ ოფიციალურად, შეიძლება ითქვას შინაურთათვის განკუთვნილი, თბილი, ოდნავ ალერსიან-სახეიმო ხმით წარმოთქვა: მეგობრებო! უნდა მოვილოცოთ! ამ დღეებში გადაწყვედა ჩვენს ინსტიტუტს უწოდონ მსოფლიოში ცნობილი ფილანთროპის ბენ სოროს იანკის სახელობის ტრადიციითავე ხსნის ინსტიტუტი! მეგობრებო! ამ პრესტიჟულ სახელწოდებას შესაბამისად თან ერთვის ფრიად სოლიდური დაფინანსება!

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი რამაზი ბოლო ფრაზით აშკარად ინსტიტუტის თანამშრომლებს მიმართავდა, დარბაზი ტაშის გრილმა კინაღამ დაანგრია. ოვაცია მაშინ შეწყდა, როცა ბატონმა რამაზმა ხელები მაღლა ადარქო და პუბლიკას სინჟემ მოსთხოვა. ხალხის ამგვარი რეაქცია სავსებით ბუნებრივია. ყველას ხელფასი მოემატება, მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც!

– ეს არის ჩვენი ინსტიტუტის თავდაუზოგავი მუშაობის უმაღლესი აღიარება და შეფასება. – თქვა ბატონმა რამაზმა.

კვლავ ტაში და შეძახილები.

დემორმანი, მლიქნელი არა ვარ. ამიტომ, ჩემი შეხედულება გულწრფელი და ობიექტურია. მრავალ ნიჭთან ერთად, მას დიდი მსახიობის ნიჭიც აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კათედრასთან მდგარი, გადიმბული, გულთბილად, ლამობიერად მოლაპარაკე უცებ გარდაიხსნა.

მახსოვს, ორიოდე წლის წინ, ერთი ჩემი ნაცნობი თეატრალი ამბობდა, რომ ბატონმა რამაზმა სტანისლავსკის გარდასახვის თეორია კარგად იცის და პრაქტიკაში იყენებს. ნამდვილად ასეა! რამდენიმე წაში სხვა რამაზად მოგვევლინა: შეუპოვარ, მკაცრ, სასტიკ, პრინციპულ ადამიანად!

– შეიძლება მკითხონ, ამგვარი სერიოზული პრობლემების შესწავლით დაკავებულიმა მეცნიერმა რატომ მიაქციეთ ყურადღება ვიღაც ბეჟუნდის საიქიოში გასაგზავნი წერილს, – განაგრძო გარდასახულმა რამაზმა, – თქვენ მალე გარწმუნდებით თუ რაოდენ საშიში საიქიოს ჯაშუშები და ტერორისტები ვამხილეთ და ამით დემოკრატია, ხელისუფლებას და სახელმწიფოს სერიოზული საფრთხე ავაცილებო! ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერებმა შესძლეს ტერორიზმის დღემდე უცნობი, ადამიანის ქვეცნობიერში ჩადიხული, შვე მავიასთან დაკავშირებული მექანიზმის აღმოჩენა! მაღლობა მათ ამ მეცნიერული გმირობისათვის!

ბატონმა რამაზმა სათვალე მოიხსნა, ბუდეში ჩადო და კოლეგების გვერდით, მისთვის განკუთვნილ სავარძელში მოხდენილად დაჯდა.

ამის შემდეგ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი, ანუ ინგლისურად მოლაპარაკე სწავლულები საზოგადოების წინაშე წარსდგნენ.

აი, რა თქვა (ქართულ ენაზე) ახალგაზრდა ფსიქოლოგმა: გავისხენოთ ბეჟუნდა ბეჟუნდარელის რიტუალი საფოსტო ყუთთან. ეს მის წერილში აღწერილი არ არის, მაგრამ ჩვენ დაგვეხმარნენ თვითმხილველნი და შევეძლით ქრონოლოგიური სიზუსტით აღგვეგინა ყოველი მისი ნაბიჯი წერილის საფოსტო ყუთში ჩადების დროს. იგი ისე იქცევა, როგორც პრეზიდენტი, რომელიც გვირგვინით ამკობს გარდაცვლილი სახელმწიფო მოღვაწის მემორიალს. ბეჟუნდის ქვეცნობიერად პრეზიდენტობა სურს. ეს მინიკალური დეტალა მის ქცევებს განსახვავებს. გავისხენოთ მისი დიდი სიხარული, როცა შეიტყო, რომ ვიღაც რუსი კომპიუტერთი საიქიოში სიმამრს დაკავშირებია. მას სურს ეს უახლესი ტექნოლოგია მალე

ხელში ჩაიგდოს, რათა იმქვეყნად მყოფ თანამზრახველებთან საიმედო კავშირი ჰქონდეს. მისტიკოსი ბეჟუნდა შავი მაგიის საკრალურ შელოცვებს ფლობს და მისი საშუალებით ცდილობს ზომბებად აქციოს ის ადამიანები, რომლებიც მას გზას უღობავენ პრეზიდენტის სავარძლისკენ. მეგრული ენის არმცოდნე ბეჟუნდა მეგრულად წარმოთქვამს მაგიური შელოცვას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას ხელმძღვანელობს ტერორისტთა და ჯაშუშთა მომზადების საიდუმლო სკოლის მაგურაფალი გუჯამა ქაჯაია, რომელსაც თავის დროზე სპეციალური მომზადება ტიბეტის მონასტერში გაუვლია, სადაც ცნობილ გურუსთან ტელეკინეზის, ტელეპათიის და პინოზის გამოყენების ხელოვნებას დაეუფლა. მისტიკოს ბეჟუნდას გადაწყვეტილი აქვს საიქიოდან სულების გამოძახება და მათი მატერიალიზაცია, რომელთა უშუალო მონაწილეობით მოაწივებს სერიულ აფეთქებებს და მკვლევლობებს.

მოულოდნელად შუქი გამოიერთო. დარბაზი წყვედიად ჩაფვლო. უცებ ქალის საშინელი კოვილი გაისმო. „უკვე აქ არიან, მოსულან, მოსულან!“ – ყვიროდა ვიღაც. ატყდა ხმაური, სკამების ბრახუნი... შუქი როგორც გამოიერთო, ისევე მოულოდნელად მოვიდა...

წესრიგის აღდგენის შემდეგ კათედრასთან ახალგაზრდა იურისტი მივიდა. აი, რა თქვა: მისტიკოსი ბეჟუნდა ბეჟუნდარელი ორჯერ ეცადა ხელისუფლების წარმომადგენლის მოკვდინებას. ერთხელ, კომუნისტების დროს, მეორედ სულ ახლახან, დემოკრატიის ზეობის პერიოდში. ორჯერ უშედეგოდ ჩატარებული ტერაქტის შემდეგ მიხვდა, რომ საჭირო იყო სხვა ხერხის გამოძებნა. მას ტერაქტის ჩატარების ახალი მეთოდი მოფიქრებული აქვს. შვე მავიასთან ერთად იგი უახლეს ტექნოლოგიას, კომპიუტერსა და სულთა მატერიალიზაციის მანქანას იყენებს. ბენ სოროს იანკის სახელობის ტრადიციითავე ხსნის ინსტიტუტის ფსიქოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დეპრესიის დროსაც კი თავს არ იკლავს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკვარში თავის დახრწობით დაკისრებულ მისიას ვერ შეასრულებს, რომ მას სურს კამიკაძე გახდეს. საკუთარი თავის აფეთქებით დასაჯოს ხელმოცარული საკუთარი „მე“, ხოლო დიდი მსხვერპლით შური იძიოს იმ საზოგადოებაზე, რომელმაც ზურგი შეაქცია, გარიყა, უარი უთხრა მის ამბიციურ სურვილს გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი. ასეთი ადამიანი ძალზე საშიშია, ასეთ ადამიანს შეუძლია მთელი ქალაქი ააფეთქოს! საჭიროა მისი დაუყოვნებლივ იზოლაცია!

– ქალბატონებო და ბატონებო! – განაგრძო იურისტი, – მოგახსენებთ იმასაც, რომ ბეჟუნდა რასისტიც არის. როცა ცინიკურად აღწერს რაციონის მდივანზე შემზარავ თავდასხმას, ახსენებს გამგებლის პაპას, სომეხ მექედე კარაპეტას. ამით ხაზს უსვამს გამგებლის სომხურ წარმოშობას. ამას შეგნებულად აკეთებს, რათა შუდლი ჩამოავდოს ორ მოძვე ერს შორის. ჩემი დასკვნა ასეთია: გუჯამა ქაჯაია, ბეჟუნდა ბეჟუნდარელი და მასთან დაკავშირებული არამზადათა ბანდა რუსეთ-საიქიოს ჯაშუშები და პირწავარნილი რასისტებია. მოვითხოვ წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და კანონის მიუღი სიმკაცრით დაისაჯონ.

მოულოდნელად დარბაზში მყოფი სომხები რაღაცაზე აჩოქოლდნენ, მაგრამ უმაღლე გაჩუმდნენ.

იურისტის შემდეგ ახალგაზრდა სოციოლოგმა ეს გვითხრა: მისტიკოსი ბეჟუნდა ბეჟუნდარელი დაუფარავად ებრძვის პროგრესს, კულტურას. იგი ბნელეთის მოციქულია და იკვება ჯოჯოხეთში მყოფთა მავნე იდეოლოგიით. ბეჟუნდის დაავარკში გამართულ ფარულ კრებებზე პროფესორი ბენეციუს ბენცაძე, ბეჟუნდა ბეჟუნდარელი და სხვები, მისტიკოსი კომუნისტურ დიქტატურას, მათ არა სურთ ქართველი ერი ეზიაროს დემოკრატიის ისეთ ფასეულობებს, როგორცაა გეოპარადები, ერთნაირსქესიანთა ქორწინების

დაკანონება, სხვადასხვა რელიგიური სექტებისთვის ხელის შეწყობა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბეჟუნდა ბოროტი ცილისმწამებელია. საიქიოში მყოფთ ისეთ სურათს უხატავს, თითქოს ხელისუფლებამ დამსახურებული აკადემიკოსები და პროფესორ-მასწავლებლები ქუნაში გაყარა და ჩარეცხილები უწოდა... ხმას არ იღებს იმის შესახებ, რომ ხანდახმულ – 50 წელს მიღწეულ მეცნიერს დირსეული დასვენება სჭირდება! ცილისმამბაა ისიც, როცა აცხადებს რომ უნივერსიტეტი თხა და გიგოს სკოლად გადააკეთესო. ასეთი სკოლა ბუნებაში არ არსებობს! რეგისტრირებული და ლიცენზირებული არსად არის! გსმენიათ ამ სახელწოდების სასწავლებლის არსებობის შესახებ?

დარბაზში შეძახილები გაისმო: ამ სკოლის შესახებ არაფერი გსმენია! ასეთი სკოლა არ არსებობს! რუსეთისა და საიქიოს საზიხლარი აგენტები! ჭორიკანები! მოულოდნელად, ერთი მოხუცი წამოდგა, ხელჯოხი ზემოთ აღმართა და აყვირდა: ასეთი სკოლა მეცხარამეტე საუკუნეში არსებობდა! დირექტორი იაკობ გოგებაშვილი იყო!

ხმაურში მისი ბებრული ხმა მომხსენებლამდე ვერ აღწევდა, ან გაიგონა და საჭიროდ არ ჩათვალა პასუხი გაცვა.

სწავლულთა გამოსვლების შემდეგ მიკროფონს სიტყვით გამოსვლის მსურველები მისცვიდნენ. კარგად მახსოვს ერთი ახალგაზრდა პოეტის გამოსვლა: საშუალება მქონდა წამკითხა მისტიკოს ბეჟუნდას საიქიოში გასაგზავნი უსტარი. მე, როგორც პოეტს, ცასა და მიწას შორის გადებულ ხიდს, თვალში მომხვდა ერთი ლექსის სტრიქონები და ვიღაც პელო მასწავლებლის შესახებ რაღაცა მელოდრამა. ვფიქრობ, ბეჟუნდა ცდილობს თავისი აგრესია, საღიზმი შენიღბოს პროვინციული პოეტის გომიური ლექსებით და ჩვენი ოპენიუს დემოკრატიისათვის გაუგებარი სენტიმენტალიზმი!

პოეტმა კიდევ რაღაცეები თქვა, მაგრამ უკვე არავინ უსმენდა. დარბაზი იცლებოდა. მიუხედავად ამისა, იყოჩაღა და საკუთარი ლექსი მაინც წაიკითხა.

აი, ყოველივე ის, რაც სხდომათა დარბაზში ხდებოდა. გარეთ კი სომხებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ტელევიზიამ, სადამოს აჩვენა ახალქალაქელი სომხების მიტინგი. ტრანსპარანტებზე ინგლისურ, რუსულ და სომხურ ენებზე ეწერა: „შორს ბეჟუნდიდან გიჟურაცვა ბეჟუნდა!“, „ბეჟუნდა ძია კარაპეტას მშობლიური ქალაქია!“, „ბეჟუნდის ეკლესია სომხეთისა!“.

ახალქალაქელებს უცხოეთში არსებული სომხური დიასპორები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ და დაწარულ სომხებს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს.

ვერაფერს გახდებოდა!

მაგურაფალი გუჯამა ქაჯაია, ბეჟუნდა ბეჟუნდარელი, ბენეციუს ბენცაძე, პელაგია მასწავლებელი (მისი ვგარი არ მახსოვს) და სხვა ეჭვმიტანილები დააპატიმრეს. პელაგია ციხეში მიყვანამდე გზაში გულის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა. ასე, რომ ცხდგა ნანატრ-ნაოცნებარი მშვიდობიანი დღეობების ეპოქა.

ოპენიუს დემოკრატიის საფრთხე აღარ ემუქრება! გიხაროდენ!

3

ბატონ რამაზ რახუნაიძის ენერგიულ და ერუდირებულ თანამშრომელს მადლობა გადაუხვავ ინფორმაციის მოწოდებისთვის. გულს იმედი ჩაესახა. ჩვენ სახელმწიფოს შესხლდება რუსეთ-საიქიოს გამოვრთინილი ჯაშუშ-ტერორისტთა იზოლაცია, საიქიოდან გამოძახებული მატერიალიზებული სულების უკან, საიქიოში კისრისტეხით გარეკვა! ბოდიში და, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ფანატისკოსი ტერორისტები ფეხებსაც ვერ მოგუჭამენ!

მაწუხებს მხოლოდ გარდევალზე ფიქრი! საიქიოში წასულებს ვინ გვიშველის? აქედან იქ გარეკული მატერიალიზირებული სულები ბეჟუნდას დასჯას გვაპატიებენ? საკითხავი აი, ეს არის!

თენგიზ კუპლაშვილი

მატარებელი



ყველა ადამიანს ბავშვობიდან, რომ უკითხავდნენ და შემდგომ თვითონ სისტემატიურად გადაიკითხავდეს ჩინგიზ აიტმატოვის „თეთრ ხომალდს“, დარწმუნებული ვარ, რომ კაცობრიობა გაცილებით უფრო ჰუმანური იქნებოდა, ვიდრე არის.

მეც ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც პირველად წავიკითხე ეს მოთხრობა და მას შემდეგ დაუოკებელი მოთხოვნა გამიჩინდა მისი კვლავ და კვლავ წაკითხვისა. პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის უნიკალური შედევრი, რომლის შექმნაც ადამიანმა შეძლო.

მეც, ისევე როგორც ამ მოთხრობის მთავარი გმირი, გამოშვრილ ყურებიანი პატარა ბიჭი, ბავშვობიდან მოვიდვარ. განსხვავებულია ჩვენი წარმომავლობა; ის ცხოვრობდა ყირგიზეთის ერთ პატარა საზღვრისპირა დასახლებაში, მე კი სამეგრელოს ერთ-ერთ ლამაზ სოფელში, ულამაზესი მდინარის, ტეხურის პირას. განსხვავებულია ჩვენი სოციალური გარემოც, მას არ ჰყავდა მშობლები და მოკლებული იყო მათ აღერსს, მე კი ყველაფერი ეს გამიჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მეც განიცდიდი, მიხაროდა და გწუხდი, მიყვარდა და მწყინდა, მაგრამ ჩემი ბავშვობა, რომლის რამოდენიმე ეპიზოდი მინდა თქვენც გაგანდოთ, უნდა ვაღიარო, რომ გაცილებით ბედნიერი იყო, ვიდრე ამ პატარა ბიჭისა.

– ქომორთუ სრელაქ (მოვიდა სტრელა) – იძახის კატო ბებია. მე და ჩემი და ნანი ამის გაგონებაზე გავრბოდით ჭიშკრისაკენ. ყოველ საღამოს ფოთიდან მომავალი ელექტრო მატარებელი გაჩერდებოდა კარიეთში (ასე ჰქვია სოფლის ცენტრს) და ძალიან დიდი იყო აღბათობა იმისა, რომ ჩვენი მშობლები ამ მატარებლით ჩამოვიდოდნენ.

გავაღებდით ჭიშკარს, გავიდოდით ქუჩაში და გავიხედავდით სადგურისაკენ, საიდანაც მატარებელი ეს-ესაა გავიდა. გამოჩნდებოდნენ პირველი მგზავრები. ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებოდით მათ და მათ შორის ვეძებდით ჩვენს მშობლებს და მართლაც საოცრება; ისინი გამოჩნდებოდნენ. არ ვიცი რას განიცდიდა ნანი, ალბათ იგივეს, მაგრამ ჩემთვის ეს იყო რაღაც ამოურყვევლი სიხარული, ნეტარება, რომლის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. როგორც კი მოგვიახლოვდებოდნენ რამდენიმე ათეულ მეტრში, გაშლიდნენ ხელებს და ჩვენც მივრბოდით. ისინი აგვიტაცებდნენ და ჩაგვიხუტებდნენ და ასე ჩახუტებულები მივყავდით ჭიშკრამდე. მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ჩვენ ამ ქვეყნად მხოლოდ ბავშვობაში ვცხოვრობთ“.

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი მშობლები მგზავრებში არ აღმოჩნდებოდნენ. ეს იყო ჩემთვის (და ალბათ ნანისთვისაც) უმძიმესი ტრაგედია. ისტობარს არ ვიტყვები, იქნებ რაღაც მიზეზებით ჩამორჩნენ მეთქი მგზავრებს. ნანი უკვე გარბოდა ბუბიასთან, მე კი ისევ ჭიშკართან მდ-

გომი გავცქეროდი სოფლის შარავას იმის იმედით, რომ ისინი მაინც გამოჩნდებოდნენ, ბოლოს, როდესაც ყველა იმედი ამომეწურებოდა, მეც გავრბოდი ბუბიასთან.

საოცარი ქალი იყო ბუბიანქი. მახსენდება ასეთი შემთხვევა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩვეულ მზიან ამინდში ეზოში ვთამაშობდი. უცებ ვაშლის ხეზე შევნიშნე გველი, რომელსაც ჩვენში უხსენებელს ეძახდნენ. შეშინებული გავიქეცი ბუბიასთან და ვუამბე რაც ვნახე. ბუბია წავიდა ვაშლის ხისკენ, მე კი შორიხლო დაეჯექი იმის სანახავად თუ რას მოიმოქმედებდა ის. ბუბია მიუახლოვდა ხეს, ხელი მიიდო პირთან და დაიწყო შელოცვა. თქვენ წარმოიდგინეთ, უხსენებელი გაჩერდა, რის შემდეგაც ბუბიამ სადღაც მონახა ჯოხი, დაარტყა უხსენებელს და მოკლა. ეს ამბავი გუშინდელი დღესავით მახსოვს. როცა მოსკოვში ვსწავლობდი, ამის შესახებ მოვუთხრე ჩემს მოსკოველ მეგობრებს, ისინი აღფრთოვანებულები მისმენდნენ და შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა მოთხრა: „Да, Нугзар. Бабушка у тебя была не проста.“

სხვა შემთხვევასაც გავიხსენებ. ერთხელ კიბიდან გადმოვვარდი და თავით მიწას დავეწარცხე. ბუბიამ მოიტანა ბარი და სადაც მე თავი დავარტყი, მიწა ამოთხარა და იპოვა რაღაც ნახშირის მავარი, შემდეგ ეს ნახშირი დაფუჭა, წყალში გახსნა და დამალევინა. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ეს რაღაც მოძველებული ცრურწმენებია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამაში არის რაღაც იდუმალი.

როცა ბუბიანქი ქათამს დაკლაგდა, ბარით ან თუნდაც ჯოხით შემოხაზავდა წრეს მოფართხალე ქათმის გარშემო. არ არსებობდა შემთხვევა, რომ ეს მოფართხალე ქათამი ამ წრიდან გამოსულიყო, რათა მის შორიხლოს ყველაფერი არ მოესვარა. შემდეგ ეს წესი მეც ვისწავლე და ბუბია ქათმებს სულ მე მაკვლევინებდა.

როგორც კი შედამდებოდა, კარიეთში, სოფლის კლუბში ჩართავდნენ მუსიკას. ეს იმისი ნიშანი იყო, რომ ცოტა ხანში კინოჩვენება გაიმართებოდა და მთელი სოფელი ემზადებოდა კინოში წასასვლელად. ჩვენი უბნის ბავშვები სხვებთან ერთად მივეშურებოდით კარიეთისაკენ, სადაც მთელი სოფელი იყრიდა თავს და შინ გვიან დამით ვბრუნდებოდით.

არ დამავიწყდება ბუბიას ლოცვები ყოველ ძილის წინ, რომელსაც ის რა თქმა უნდა მეგრულად წარმოთქვამდა და მთელი მისი მონაგარით ჯანმრთელობას, სიკეთეს და გადარჩენას შესთხოვდა უფაღღმურთს, მათ შორის ჩემსასაც და ნანისასაც.

ბუბიას სიკვდილის შემდეგ მისი საქმე განაგრძო ჩემმა საყვარელმა საშა მამიდამ, რომელიც იყო ნიშუში ადამიანთმოყვარეობისა. დიდი საიყვარულით მახსენდება ჩემი მეორე მამიდა ლიდა და ბიბია პლატონი, უადრესად კეთილშობილი ხალხი. სუყველანი ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც განაპირობეს ჩემი პიროვნებად ჩემოყალიბება. ისინი იყვნენ და დღესაც არიან ჩემი სულიერი სახის ნაწილები.

მე და ნანი ფოთლები ვიყავით, მაგრამ გული ყოველთვის სოფლისაკენ მიგვიწვედა, ალბათ იმიტომ, რომ სოფელი თბილია, ხალხი უბრალო. კიდევ იმიტომ, რომ იქ იყო ჩემი საყვარელი ბუბია, მუდამ ეზოში მოფუსფუსე ადამიანი. კიდევ იმიტომ, რომ ქალაქი, როგორც კარგი ხალხითაც არ უნდა იყოს დასახლებული (და ფოთი ნამდვილად ასეთი ქალაქია), მაინც ქალაქია და თავისი დაუწერელი მკაცრი კანონები გააჩ-

ნია, ხოლო სოფელში ყველამ ყველასი ყველაფერი იცის.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი აზრით ადამიანს ბავშვობისდროინდელი პერიოდის მხოლოდ კარგი ახსენდება. ამინდებიც კი ჩემი სოფლისა, თითქმის ყოველთვის იყო ნათელი და მზიანი, ხალხიც მხოლოდ კეთილი და მოსიყვარულე. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, უკვე სიჭარბაგეში შესულები ვხვდებით, რომ ეს ასე არ არის. ვხვდებით, რომ არსებობდნენ შავი ღრუბლები და ძლიერი ქარები, რომელთაც შეუძლიათ ქვეყანა წაღვეონ; რომ არსებობენ ბოროტი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ, ადამიანები წაღვეონ. მაგრამ ასევე არსებობენ გამოუსწორებელი ოპტიმისტები, რომლებიც ამბობენ, რომ მტერი არ არსებობს და ჩვენ თვითონვე ვქმნით მტრის ხატს.

მეც მანდა ვარ, რადგანაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ბავშვური რეჟიმისცნობების (მოგონებების) ასეთი სისპეტაკე. ასეთი სიწმინდე. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ამ ქვეყნად არსებული ამდენნაირი სიყვარული: ცოლ-ქმრული, დედა-შვილური, მამა-შვილური, და-ძმური, მეგობრული, ნათესაური და ა.შ. და თუ ადამიანს შეუძლია იყოს კარგი მეუღლე, კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი მეგობარი, კარგი მამა, კარგი მეზობელი, კარგი ნათესავი, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის თვითონ არის ღვთის სწორი და თუკი ყველა ადამიანი ამ გზას დაადგება ჩვენი ბავშვობის დროინდელი სისპეტაკე სიჭარბაგეშიც გადმოინაცვლებს და ეს იქნება ნამდვილი ადამიანური ბედნიერება.

მინაწერი:
მას შემდეგ თითქმის სამოცი წელი გავიდა.

მრავალი სიხარული და მრავალი გულისტკივილი გამომიცდია ამ ხნის განმავლობაში. დაუოჯახიდი, შემეძინა ორი ვაჟიშვილი, ახლა უკვე მეყავს შვილისშვილიც. სამწუხაროდ დეკარგე მეუღლე და მშობლები, მაგრამ თუ მხოლოდ სიხარულებს გავიხსენებ, უნდა გულახდილად ვაღიარო, რომ იმ სიხარულის მოლოდინს არაფერი შეედრება, რომელსაც განვიცდიდი, როცა კარიეთში გაჩერდებოდა ფოთიდან მომავალი მატარებელი.

ახლაც ჩავდივარ მე ჩემს სოფელში. ჩვენს სახლში ამჟამად არავინ ცხოვრობს.

ახლაც ჩერდება კარიეთში ფოთიდან მომავალი სტრელა, მაგრამ დიდი ხანია ამ მატარებლით მე არავის ვკლი.

ბუბიანქის თაობიდან, რათქმა უნდა ყველანი წავიდნენ, ხოლო მამაჩემის თაობიდან თითო-ორიოლა თუ შემორჩა ჩვენს სამოხოს, თუმცა იქ ყოფნის დროს წასულთა სახეები ჩემს ირგვლივ ტრიალებენ, ისინი ჩემს სიმარტოვეს ავსებენ.

ჩვენ დიდი ხანია თბილისში ვცხოვრობთ და მე გული მწყდება, რომ ჩემს შვილებს ისე აღარ უყვართ ჩვენი სოფელი. ამაში მე ჩემს თავსაც ვაღანაშაულებ, თუმცა ვიმედოვნებ, რომ გავა დრო და ისინი შეიგნებენ, რომ ეს ჩვენი, ჩვენი გვარის ფუძეა და ფუძის მოშლა კი ვაშინერს, არ ვუკების.

მე დიდი ხანია ამ მოთხრობის დაწერა მსურდა, მაგრამ ვერ წარმომდგინა თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო ჩემთვის თუ როგორ შეეძლო, ეს მკითხველმა განსაჯოს, ხოლო ჩემდათავად ვიტყვი, რომ ეს არის მცირედი ნაწილი იმ ტკივილისა და სიხარულისა, რომელსაც უწყვეტად განვიცდიდი დღემდე და მჯერა, რომ ასე იქნება უსასრულოდ.

ნუზარ კვაშილაძე

ილორო ბოლო წლებში მყამ აღგების უნარი დაკარგა

საქართველოს ქონების 35% ხე-ტყეზე მოდის. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე არ არის შესწავლილი ტყის როლი ქვეყნის ეკონომიკასა და ენერგეტიკაში. მოჭრილი ხეების სანაცვლოდ არ ხდება ტყის მასივების აღდგენა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლების კვლევის მიხედვით, საქართველოში მოჭრილი ხეები ხიდან ოთხი უკანონოა. სპეციალისტები საგანგაშოდ მიიჩნევენ იმ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა გასათბობად ყოველ წელს 2 მლნ 500 ათას კმ/მ საშუალო მერქანს იყენებს, რაც კანონით დადგენილ რაოდენობაზე 1 მლნ 800 ათასით მეტია. ეს იმის ბრალია, რომ მიუხედავად გაცხადებული პოლიტიკისა, ქვეყნის რეგიონების გაზოფიცირება დაბალი ტემპით მიმდინარეობს.

სამცხე-ჯავახეთის ძირითადი მოსახლეობისთვის ზამთრის ცივი პერიოდი თითქმის რვა თვის განმავლობაში გრძელდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ პრობლემას საშუალო მერქნის რესურსის არასაკმარისი რაოდენობა და ტყე-კაფების მიუდგომელ ადგილებში გამოყოფა წარმოადგენს. ზამთარი სექტემბრიდან მაისამდე გრძელდება და, მაგალითად, აბასთუმანში გათბობის ერთადერთი და ისიც არასაკმარისი საშუალება ძირითადად შეშაა.

კურორტის საერთაშორისო მნიშვნელობის მიუხედავად, აბასთუმანში ამ დრომდე არ დაწყებულა გაზოფიცირების პროცესი. შესაბამისად, დაბაში არსებული ტყის რესურსით არა მხოლოდ აბასთუმანის, არამედ მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებიც სარგებლობენ.

25 წელიწადში საქართველოს ტყის საფარი დაახლოებით 25-30%-ით შემცირდა. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით დასტურდება, რომ ტყეები მასობრივად ნადგურდება. არსებული მონაცემით, ჩვენი ქვეყნის ტყეებიდან პირწმინდად გაქრა 9500 ჰა, რაც რამდენიმე მილიონი ძირი ხეა.

„გლობალ ფორესტ ვონი“ საქართველოში არსებულ მდგომარეობას იგი 2001 წლიდან იკვლევს. ორგანიზაციის მონაცემებით, ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქვეყნის მასშტაბით 8 917 ჰექტარი ტყეა გაჩეხილი.

აღნიშნული მჩვენებლით, საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის მესამე ადგილს იკავებს. რუსეთისა და თურქეთის შემდეგ ტყის ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოში განადგურდა. სომხეთში ამ მონაცემმა – 2 000 ჰექტარი, აზერბაიჯანში კი 7 223 ჰექტარი შეადგინა.

საქართველოს ტყის ფონდი სულ 2 629.6 ათასი ჰექტარია. საქსტატის მონაცემებით, აქედან ტყით დაფარული მიწის ნაკვეთი 2 015.4 ათას ჰექტარს შეადგენს.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელი რუსიკო სიმონიძე ადასტურებს, რომ საქართველოს ტყეებში არსებული მდგომარეობა არის მძიმე და დანაკარგის აღდგენა თითქმის შეუძლებელია.

„ძალიან დიდი რაოდენობით გაიჩეხა ბოლო 20-30 წლის განმავლობაში. დაკარგული აქვს ტყეს აღდგენის უნარი, რაც დიდი პრობლემაა ქვეყნისთვის. უმძიმესი სურათი გვაქვს, რასაც სახელმწიფოც არ უარყოფს. მიმდინარეობს მუშაობა, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს, მაგრამ ეს დიდი ძალისხმევითაც შეუძლებელია, იმდენად დიდია დანაკარგი.“

გაიჩეხა ტყეები სამრეწველო დანიშნულებით, შეშის მოსაპოვებლად, სხვადასხვა დაავადების გამო და სხვა, ეს პროცესი გრძელდება დღესაც. უმძიმესი სიტუაციაა საქართველოში ყველგან, სადაც ადამიანებს ხელი მიუწვდება ხე-ტყეზე. რაც შეეხება 2005 წელს იჯარით ტყეების გაცემას, ამას უკვე კომენტარიც არ სჭირდება, – აცხადებს სიმონიძე და დასძენს, რომ აუცილებელია პოლიტიკის შეცვლა, რათა ტყემ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეინარჩუნოს.

გემა დანელია



ერდოღანის!!!

რიხეს უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ „თურქეთის 79 მილიონი მცხოვრების გარდა სხვა გეოგრაფიულ რეგიონებში კიდევ არსებობს ასობით მილიონი ჩვენი ძმა, ვისთანაც გვაქვს ისტორიული კავშირები. ჩვენს ინტერესებში შედის ერაყი, სირია, ლიბია, ყირიმი, ყარაბაღი და სხვა სამხრეთ რეგიონები. როდესაც თურქეთი თავის დამოუკიდებლობას და მომავალს დაკარგავს, ჩვენც მაშინ დაგვარგავს ინტერესს ამ ტერიტორიების მიმართ. უამრავი ისტორიკოსი განიხილავს, რომ თურქეთის საზღვრებში უნდა შედიოდეს კვიპროსი, ხალეპი, მოსული, არბილი, კირკუტი, ბათუმი (სიც), თესალონიკი, კირძალი, ვარნა, დასავლეთი თრაკია და ეგეოსის კუნძულები“.

სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის აღკვეთის შედეგად ნაციონალისტური სულსიკვდილების მეტ-ნაკლებად აღმავლობამ, ასევე სირიის სისხლისმღვრელ კონფლიქტში თურქეთის გააქტიურებული როლის, ქურთული სახელმწიფოს პერსპექტივებისადმი მისი გაღიზიანების, ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან თურქეთისა და მისი ლიდერისადმი დაუფარავი კრიტიკული დამოკიდებულების, განსაკუთრებით, ევროპაში მცხოვრები თურქი ეროვნების ადამიანებისადმი ბატონი ერდოღანის აგრესიული მოწოდებების გათვალისწინებით, შეუძლებელია, ქართველი საზოგადოება არ დააფიქროს თურქული ელიტის გახშირებულმა ინტერესმა ბათუმის, მთელი აჭარის მიმართ.

ყოველგვარი მიკიპ-მოკიპების გარეშე უნდა დავასკვნა: ამას „რევიზია“ ჰქვია – საერთაშორისო გადაწყვეტილებების, მოვლით უნდა არსებული წესრიგის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის რევიზია.

ჩემი ამ დასკვნის საფუძვლიანობას ცალსახად აძლიერებს რუსეთისა და თურქეთის სტრატეგიულ-ტაქტიკური დაახლოების აშკარად ხელფერული დემონსტრაცია, სახელმწიფო ლიდერების ურთიერთობების გაშუქების მასშტაბები, ყირიმის „პრობლემის“ ძალისმიერი გადაწყვეტილება, უკრაინასთან კონფლიქტის მოუგვარებლობა და ეკონომიკური სანქციების გამო რუსეთის ნიხური მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებად, რომელიმე არსებული თუ დამატებითი ლოკალური სამხედრო კონფლიქტის სავარაუდო წამოწყება-გადრმაგება. დამატებით ამას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო პრეზენციის არნახული ზრდა და... ჩვენთვის ყველაფერი უნდა დადგეს კუთვნილ ადგილზე.

ამასთან დაკავშირებით ღირს დაფიქრება. რეალობის გაანალიზება. მოვლენათა სავარაუდო განვითარების პროგნოზირება, სულ მცირე დეტალებისადმიც კი სერიოზული ყურადღება, რამეთუ, როგორც იტყვიან, სწორედ დეტალებშია ეშმაკი დამალული. და თუ საჭირო გახდება, უნდა გადაიდგას კიდევ აუცილებელი ნაბიჯები.

მანამდე კი ერთი მტკივნეული საკითხი, გაომდინარე იმ საერთო რეალობიდან, ზემოთ რომ შემოვხახეთ. იგი სახელმწიფოს რეპუტაციას ეხება. აქსიომაა ის, რომ დროშასთან, გერბსა და ჰიმნთან ერთად სახელმწიფოს რეპუტაცია

თვალისწინებით გასაფრთხილებელია, რამეთუ, უწინარესად, ეს სიმბოლოები და მათადმი მოქალაქეთა დამოკიდებულება გამოხატავს სახელმწიფოს სტაბილურობას.

მეჩვენება, რომ ამ მხრივ ვცოდავთ ყველა – სახელმწიფო სტრუქტურები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მოქალაქეები.

მიუხედავად ზოგიერთი მნიშვნელოვანი და კონკრეტული წარმატებისა, რაც დაკავშირებულია უშუალოდ პრემიერ გ. კვირიკაშვილის პერსონასთან, ისეთი წარადრებით გვაქვს საგარეო ასპარეზზე, რომ ეჭვი გვიჩნდება, სერიოზული, საფუძვლიანი: საქართველოს ხელისუფლების სტრუქტურაში არსებობს კი ეფექტიანი, ავტორიტეტული, კომპეტენტური საგარეო საქმეთა სამინისტრო?

ეს შეკითხვა თანაბრად ეხება წინა და ახალი ხელისუფლებას, რამეთუ „სირაქლემას პოზიციაში“ ყოფნა დღევანდელი „გამოღონება“ არ გახლავთ და ამის შესახებ ადრეც რამდენჯერმე მივანიშნეთ, ქვეტექსტად, ირიბად, ტაქტიანად იმას, ვისაც ჯერ არს. შეგახსენებთ ზოგიერთ ფაქტს:

– საზოგადოებისთვის, მაგალითად, უცნობია, ჰქონდა თუ არა დიპლომატიურ უწყებას სერიოზული, ადეკვატური რეაქცია თურქულ მედიაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე და სასწავლო სახელმძღვანელოებში გამოქვეყნებულ სკანდალურ რეჟებთან დაკავშირებით, როცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი – აჭარა და ბათუმი განიხილებოდა თურქეთის შემადგენლობაში? თუ ჰქონდა, ეგებ, ჩვენ შემოგვჩვენა და, მოკრძალებით ვითხოვთ, მიგვანიშნონ ჩვენი დიპლომატიის და მისი მაშინდელი მეთაურის ბ. გელა ბეგუაშვილის (ანუ სამინისტროს) საჯარო (!!!), პრინციპული ხასიათის რეაქცია, თანაც ისიც, როგორ მოხდა ჩვენი საზოგადოების ინფორმირება ამ მტკივნეულ თემაზე, სად და როდის გამოქვეყნდა სამინისტროს მტკიცე „პოზიცია“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში?

– გახსოვთ ალბათ, როგორ „ღამირმაგა ორთავ თვალში“ და არ შეიძინა მაშინდელმა საგარეო უწყების თავკაცმა ბატონმა გიორგი ვაშაძემ (ანუ, სამინისტრომ) საქართველოში საგანგებოდ, ვითომ „სტრუმ-რაქ“ ჩამოსული უნგრეთის მოქმედი პრემიერის საქციელი, როცა ის დიპლომატიური პრაქტიკისთვის გაუგონარი მოურიდებლობით ჩაერია ჩვენს სამხრეთ საქმეებში, ღიად მიიღო მონაწილეობა 2012 წლის საპარლამენტო წინასაარჩევნო კამპანიაში, ხოლო დამთავრებისას, შედეგებით უკმაყოფილომ, უხეშად „დატოქსა“ საქართველოს ამომრჩევლები, მისი გაგებით, „ცუდი“ არჩევანისა გამო, ანუ, ხმა რატომ მიეცით „ქართულ ოცნებას“ და არა სააკაშვილის „ეწმ“-სო.

სხვათაშორის, ამ „გამოსვლას“ სრულიად არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ ორიდევ წლის შემდეგ ტაშ-ფანდურით გვემასპინძლა უკვე „გამოსწორებული“ და ახალ ხელისუფლებასთან ჩახუტებული ბატონი ორბანიისთვის. ეტყობა, ორივე მხარეს კლასიკური გაგებიდან განსხვავებით ესმის, თუ რა შინაარსია ჩადებულ ტერმინში „თავმოყვარეობა“, ისევე, როგორც რას ნიშნავს ტერმინი „ორმაგი სტანდარტი“.

– არა მგონია, ჩვენ საზოგადოებას

დავიწყებოდა თურქეთის ერთ-ერთი ლიდერის – ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდგომ კი პრემიერის დაეთოლდეს ადრინდელი ლაებობა(!) ბათუმთან დაკავშირებით? რაღაც არ გვაგონდება მაშინდელი სამინისტროს და მისი წინამძღოლის, ქალბატონ მაია ფანჯიკიძის და მისი მოადგილეების (ახლაც რომ მოადგილეობენ) ისეთი დირსეული პასუხი ამ უტიფრობაზე, რომელიც ცნობილი გახდებოდა ჩვენი საზოგადოებისთვის.

– სულ რამდენიმე თვის წინ ჩვენი საზოგადოება აღაშფოთა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ზალბერის „ადტაცებამ“ იმის თაობაზე, თუ რა სერიოზულად ეატარებულა პრეზიდენტის არჩევნები ე.წ. სამხრეთ ოსეთში და იმან, თუ რა ადმინისტრაციული შეფასებებით მიულოცა ახალგაომცხვარ პრეზიდენტს გამარჯვება იმ არჩევნებში, რომელსაც... უკანონოდ მიიჩნევს მისი, როგორც სპეციალური ემისარის წარმომგზავნი უმაღლესი ევროსტრუქტურა... გაგახსენებთ იმასაც, თუ პრაქტიკულად როგორ „გადაყლაპა“ ჩვენმა საგარეო უწყებამ საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში წარმოდგენილი მსგავსი საქციელი, „ბოღვა“, მიაფუნქა ასეთ შემთხვევაში უპირობოდ საჭირო რეაგირება და მისცა საშუალება ამ ვი-დიპლომატს, „მშვიდობიანად“ განრიდებოდა ობიექტურ სკანდალს... ჩვენი საზოგადოება არ ჩათვალეს იმის ღირსად, რომ ვინმეს სერიოზულად და ღირსეულად აეხსნა საგარეო უწყების ეს „ეკვილიშობილური“ უქსტი...

– ახლახან ევროპარლამენტის პოლონელმა დეპუტატმა იაროშმა, რომელიც ლამის „ადიუტანტად“ არის მივლინებული სააკიანცის ევროკავშირში და, პრაქტიკულად, გვერდიდან არ შორდება მას, მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკანონოდ (!!!) ჩამოართვა მოქალაქეთა ბატონ მიხეილ სააკაშვილს. უფრო მეტიც, ევროპარლამენტში „ყურების დაჭრით“ დამუქრა ჩვენს ქვეყანას... იმისათვის, რომ საგარეო უწყებამ ხელისუფლების სახელით გააკეთოს საჭირო ოფიციალური განცხადება, ვის მითითებას ან რას ელოდება საგარეო საქმეთა მინისტრი, იგივე ვიცე-პრემიერი ბატონი ჯანელიძე?

– კარგად გვესმის, რას ნიშნავს არა მარტო დიპლომატიური ეტიკეტი, არამედ ჩვეულებრივი, ადამიანური ტაქტი და ისიც, რომ წინასაარჩევნო რიტორიკა ბევრ „რამეს“ იტანს, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი: როცა თურქეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა აღმაშფოთებელ ცილისწამებად, პირად შეურაცხყოფად (!!!) ჩათვალა და საჯაროდ დაგმო ცალკეული პოლიტიკოსების ვარაუდი ვითომდა მის წარმომავლობაში ქართული ფესვების არსებობის შესახებ, ეს როგორ უნდა იქნეს გაგებელი? ოვაციებით უნდა შეგხვდეთ „ისტორიული მეგობარ“ ქვეყნის მომავალი თავკაცის ამ უტაქტობას და მორჩილად აღვასრულოთ მისი ნებისმიერი „კაპრიზი“, ესეც ეს „დიდგორბის“ აღნიშვნას თუ პოლიტიკური ოპონენტების საქართველოდან ექსტრადიციის ჯიოქ მოთხოვნას?

(ბარემ ამ ვითარებას, როგორც სამწუხარო საფუძველს, დაუეკავშირებთ

იმ აბსოლუტურად არაეროვნულ და ანტი-სახელმწიფოებრივ, აბსოლუტურად გაუგებარ, მანე, აღმაშფოთებელ პრაქტიკას, რომლის შედეგად თურქეთის უამრავ მოქალაქეს დაუკანონდა საქართველოს მოქალაქეობა და, არ არის დასაძაღი ის, თუ ამ „მოვლენამ“ პრინციპულად როგორ იმოქმედა საარჩევნო გარემოზე ბათუმში) და აი, ამ რეალობას მივყავართ ერთ სავალალო დასკვნამდე: ჩვენი დიპლომატიის ხელთ არსებული დია თუ „კულისების“ მეთოდებით მტკიცედ, პრინციპულად, შეუპოვრად და ბრძნულად რომ არ ვიცავთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, სწორედ ამიტომაც მივიღეთ კიდევ მორიგი „ალიფური“ ბატონმა ერდოღანმა ადარ დამალა პრეტენზია აჭარაზე, ბათუმზე...

აი, სწორედ ეს არის ერთ-ერთი იმ ე.წ. დეტალებიდან, ზემოთ რომ მივანიშნე და რომლებშიც სწორედ ის ეშმაკია დამალული, რომელსაც ხან ელიცინი ჰქვია, ხან არძინბა, ხან კოლოთი, ზოგჯერ დავითოლოდუ, ან ორბანი, ახლა კი... აგერ, გამონდა ანა ერდოღანიც!

ყოველივე ამის შემდეგ გვაქვს თუ არა უფლება, კრიტიკულად შევაფასოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, როგორც ამ მიმართულებით წამყვანი სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობა?

და ვინმე „ავადმყოფმა“ (აქაურმა თუ იქაურმა) ამ ჩემს მორიგ, გულსიტკვირებით და გულშემბატკვირული სულისკვებით გამსჭვალულ რეპლიკას რაღაც „კუდი“ რომ არ გამოაბას, ვაცხადებ:

– არ მიმანია ადრინდელი თურქეთი ჩვენ ისტორიულ მეგობრად და ყოველგვარი განცხადება ამ ე. წ. „ისტორიულ მეგობრობაზე“ არის, რბილად რომ ვთქვათ, ელემენტარული უმეცრება, რომლის გამართლება „რადაც“ დიპლომატიური ტაქტი თუ სახელმწიფო ინტერესებით არის კიდევ უფრო დიდი სიბრძნევე.

– მივესალმები ბოლო 20-25 წლის მანძილზე ორ ქვეყანას შორის განვითარებულ თანამშრომლობას და გარკვეულწილად თბილი ურთიერთობების განვითარებას, რასაც სახელმწიფო ინსტიტუტებთან და პოლიტიკოსებთან ერთად, პირადად მეც, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, გუწოდებ ხელს, როგორც დაფუნქციონირებული და თანაპრეზიდენტი თურქეთ-საქართველოს მეგობრობის და თანამშრომლობის ასოციაციისა (დარეგისტრირებულია ქანკარაში), რომელსაც რამდენიმე წლის მანძილზე პირად პატრონაჟს უწევდნენ პრეზიდენტული სულედიან ღემირელი და ვლადიმერ შვარცნაძე.

– ჩემი არაერთი კოლეგის და თანამოაზრის სახელით დაბეჯითებით ვითხოვ და ველოდები სახელისუფლებო სტრუქტურების რეაქციას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც ზემოთ გვაქვს საუბარი.

და თუ ვინმე, განსაკუთრებით კი ზოგიერთი „ნარცისი“ ჩინოსანი ფიქრობს, რომ ყოველივე ამას მხოლოდ გულის მოსაფხანად ვწერთ და ვამბობთ, ღრმად ცდება. ვარწმუნებ მათ: ამ მიმართულებით მავანის და მავანის „ძილს“, „უნიათობას“ და „სირაქლემობას“ უპირობოდ მოჰყვება საზოგადოების ადეკვატური ქმედება.

ნუზარ ფოფხაძე

ბახსენება ლუარა ირაკლის ასული სულაქველიძე-დანელიასი!



5 ოქტომბერს ორმოცი დღე შესრულდა მას შემდეგ რაც, ამ ქვეყანას განეშორა და მარადისობას შეეერთდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული მძალადკველი ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის, ირაკლი და მამუკა დანელიაშვილის დედა, ლუარა ირაკლის ასული სულაქველიძე-დანელია. 5 ოქტომბერს, შენმა სპეტაკმა სულმა დაივიანა მარადისობაში, იქ სადაც არიან შენი შვილები, ირაკლი და მამუკა, შენი

და არანაკლებ ჩვენი უსაყვარლესი ძმა, ომა, შენი მშვენიერი მშობლები და ბევრი ახლობელი. ო, რა ძნელი ყოფილა უშენობა. ჩემო ლულუშო, ძალიან მიტრის და ძალიან მენატრები. არ ვიცი რით ვუსაშველო თავს. ერთადერთ იმედად ისინი დამრჩნენ, შენ რომ დამიტოვე, ქეთი, გიორგი ანათურთ, პაატა და ლევანიკო. და, ეხლა უკვე 18 სექტემბერს ქვეყანას მოევაინა ჩვენი გიორგის ქალიშვილი, ელენე, ანუ ელენიკო! აი რა მომწერა ქეთიმ: „ბაბუ რთგორ ხარ? რა მინდა იცი გითხრა? ადარ ვიცი რთგორ შევიმსუბუქო ეს დარდი. მინდა ეკლესიაში იარო. დმერთმა გავაძლებინოს. მე ბებოსთვის ვილოცებ, რომ ილოცოს ჩვენთვის. შენ მინდა კარგად მყავდე“. და კიდევ: „მინდა კარგად უნდა მყავდე. ბებომაც ხომ გთხოვა. კარგად უნდა იყო ჩვენი ელენიკოს სათრთი!“ ეს ის ქეთია, რომელმაც შენდა და ჩემდა განსაკუთრად ისე მოვიარა, როგორც პატარა ბავშვს. თურმე რა მაგრად ჰყვარებინარ! იცი კიდევ რა მიკლავს გულს? მაშინ როდესაც შენი ტანჯული გული ჩერდებოდა და სულს უფავლს აბარებდი, მე მაშინ შენს გვერდში არ ვიყავი. ვინ იცის რისი თქმა გინდოდა, რა გინდოდა დაგე ბარებინა ჩემთვის, ან შენებურად, ჰკვირ-

ნური რჩევა-დარიგება მოგეცა. ამ დაწყველილი ინგოროვკას კლინიკის კარდიო-რენიმაციის კედლებში, მარტომ, უპატრონოსავით განუტევე სული. ყველაზე ღმერთი თავისას მიუხდავს! ჩემო ლულუშო, ცხოვრებაში ბევრი დაუმსახურებელი გულსატკეპნი შეგხვდა, ბევრმა გატკინა გული, მაგრამ, შენ იმდენად დიდბუნოვანი და დიდსულოვანი ადამიანი იყავი, რომ ხშირად გათქვამს: „პატეება შემძლია, ოღონდ დავიწყებ არა!“ მიმტკვებელი ადამიანი იყავი და ამიტომაც ყველა გაფასებდა ვინც გიცნობდა. არ ვქნა, არ ვიცი, სულ მინდა გუასუბრო. დამე მეღვიძება და შენ სურათების ვესაუბრები, ვიგონებ წარსული ცხოვრების ტკბილ-მწარე დღეებს. ეხლა ხომ მხოლოდ ესლა დამრჩა შენთან მიმართებაში!

ზევით თქვენი და კიდევ ვაგიმეორებ, ლულუშო, 18 სექტემბერს ამ ქვეყანას მოევაინა ელენე გიორგის ასული დანელია, ჩვენი პირველი შვილთაშვილი! რომ იცოდეთ როგორ აბრდელილებს დიდრინ თვალებს! რა იქნებოდა ცოტაც გაგემლო და დახვედროდი ჩვენს ელენიკოს? დამიტკებაროყავი მისი მოფერებით. ვაპრდები, სანამ პირში სული მიდგას, ეკვლანაირად ვეცდები არაფერი ვაუჭიროვო ამათ!

13 ნოემბერს 75 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ, ვაი რომ არ დაეცვალდა ამ თარიღის აღნიშვნა! ვნახოთ, იქნებ რამე მოვიფიქრო, შენს სამეგობროსთან ერთად? ჩემო ლულუშო, ჩემი ცხოვრების უღალატო მეუღლე და მეგობარი, ჩვენ ხომ 55 წელზე (29 აპრილი 1962) მეტ ხანს ვიყავით ერთად! აღმაინა, რომელმაც დაარღვიე ჩემთან მიმართებაში, ცხოვრებისეული კანონზომიერება, თითქოს არ მეყოფოდა ირაკლი და მამუკას დაღუპვა, ეხლა კიდევ შენ, დროზე ადრე წახვედი და დამტოვე ან მხარმომსხვრეული დარწმუნებული ვარ ორმოცი დღის მერე შენი სული დაივიანეს იქ სადაც მართლდინ განისვენებენ – ანუ სამთხეში, შენ ნამდვილად იმსახურებ ამათ!

მალე შეგვედრამდე იმ ქვეყნად! ოჯახისა და ახლობლების სახელით, მარად შენი მოყვარული, ანხორი.

P.S. ეს სურათი 1989 წლის 10 აპრილსაა გადაღებული, როცა მთავრობის სახლთან მივიდნენ ადამიანები. მაშინ, საბჭოთა ჯარების მიერ გაშვებული შხამი ჯერ კიდევ არ იყო გაფანტული პაერში.

ანხორი დანელია, ქ თბილისი

პანტანო ხარკილავა: ორმაგი რისი და ორმაგი რისიკო

გაერთიონ რუსი ოკუპანტები აქედან! სულ მალე NATO-ს ჯარები შემოვლენ აქ და საქართველოს დაიცავენ! – ჭკუდა ლამის ერთნულად გმირად შერაცხილი ირაკლი წერეთელი და ჩვენ, ბედნიერი და აღტაცებული ქართველები, მხურვალე ტაშითა და ოვაციებით ვაჯილდობდით ორატორს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, ირაკლი დაბერდა, დაბერდნენ მისი ტაშისდაძველებიც, მაგრამ NATO-ს ჯარები ჯერჯერობით არსად ჩანან, სამაგიეროდ, ჩანან რუსები, რომლებიც ყოველდღე ისე გვიახლოვებიან, სულ მალე ერთმანეთს ცხვირებს მივაბჯვით.

არის რაღაც ტრაგიკომიკური იმაში, რაც დღეს ხდება – მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია, დაუჩინებელი ვიქტორებო, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ალიანსში შეგდევნებო, მიუხედავად იმისა, რომ კარები ღიაა, NATO-ში მაინც ვერა და ვერ შევიკვებით.

NATO-ში ვერ შევიკვებით, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსები შემოდინ უფრო ღრმად და ღრმად, ღრმად და ღრმად... რაც უფრო ხმაელდა ვიხახით, რომ NATO-ში სულ მალე გავწვევრიანდებით, რუსები მით უფრო ღრმად და ღრმად შემოდინ საქართველოში.

არის რაღაც უცნაური და მისტიკური კავშირი ჩვენს NATO-ში შესვლასა და რუსების საქართველოში შემოსვლას შორის, თუმცა ჩვენ ამ კავშირის დანახვა ჯიუტად არ გვინდა და მაინც NATO-NATO-ს გავყვიროთ და, როგორც ჩანს, მანამდე ვიყვირებთ, სანამ ეს რუსები მთელ საქართველოს არ დაიპყრობენ.

რა ვიფიქრო ახლა მე, რუსები იმათ შემოკვავთ საქართველოში, ვინც NATO-NATO-ს გაიძახის?

ასე გამოდის, თუმცა, შეიძლება სინამდვილეში სულ სხვა რამ ედოთ გულში, გულში კი ვის რა უდევს, ამას რა მნიშვნელობა აქვს – მთავარია შედეგი.

ყველა უბედურებას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზები, იმ უბედურების მიზეზი, რაც დღეს ჩვენ გვჭირს, ის არის, რომ ცხონებულ სიღამონს არ დავეუჯერებთ

– რას შერებთ, ქართველებო, ვისაა, რომ მიჰყვებით, მაგას მე მალაზიაში არ ვუშვებ მარტოს პურის საყიდლად, თქვენ კი წინამძღოლად ავირჩევით, რომ გვეუბნებოდნენ.

რა თქმა უნდა, მამამ შეიღის ამბავი ჩვენზე უკეთ იცოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ერთხელ ვიღაცას რომ ავიკვირებთ, ერთხელ ვიღაცას რომ ამოვიჩქმებთ, ცხვირის ფარასავით დაბრმავეულ-დარეტიანებული მიღვევთ უკან, სანამ ის ვიღაცა საყასბოში არ გვიკარავს თავს.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, ყასბის დანა რომ მოგვეგვინა ყელზე, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ შეპირებული თავისუფლების ნაცვლად საყასბოში აღმოვჩნდით.

მივხვდითო, კი ვთქვი, მაგრამ მივხვდით კი? რა გვეტყობა ჩვენ საიმისო, რომ რაიმეს მივხვდით, რა გვეტყობა, რომ ძველი შეცდომებიდან რაღაც დასკვნა გაგაკეთეთ და ჭკუა ვისწავლეთ?

ჭკუაზე გამოსხნდა და ბარემ აქვე ვიკითხვა – ისეთი რა სენი გვჭირს, რომ ჭკვიან და გონიერ ადამიანებს ეჭვის თვალთ ვეყურებთ, უჭკუოებს, გიჟებს და სულალებს კი უყოყმანოდ და დაუმჭკუბლად რომ ეუჯერებთ?

ბატონ სიღამონს არ დავეუჯერებთ-მეთქი, ვთქვი ხემოთ.

სიღამონს კი არა, ილია ჭავჭავაძეს არ ვუჯერებდით ჩვენ და არც ახლა ვუჯერებთ, სამაგიეროდ, ვუჯერებთ მიშკოს, გრიშკოს, გივიკოს, თინკოს, ზალიკოს, პალიკოს, ვანიკოს და მერე გვიკვირს, რატომ ვართ ასეთ დღეში და რატომ ვისჯებით ასე?

ერთი მეგობარი მეცვდა – ტანმორჩილი, გამხდარი ბიჭი იყო, მაგრამ გული ჰქონდა დიდი და ორ ჭიქას რომ დაღვლიდა, მაინც დამინებ მასზე ორჯერ მაღალ ზორბა ტიპებს გაექანებოდა, რაც, როგორც წესი, დრამატულად მთავრდებოდა ხოლმე, თუმცა, ის მაინც არ იშლიდა მისთვის ფრიად სახიანო ამ ჩვევას და საკუთარი თავის წინააღმდეგე მიმართულ ამ პროვოკაციას ჯიუტად აგრძელებდა.

საქართველომაც ხომ არ მოუწყო საკუ-

თარ თავს დიდი პროვოკაცია, როცა საბჭოთა იმპერიის დაშლის პერიოდში რუსეთს დაუპირისპირდა?

რამდენად იყო გონივრული და წინდახედული ჩვენი იმდროინდელი მოქმედებები და ის რადიკალური ხასიათის განცხადებები, რაც ჩვენს ხალხმრავალ მიტინგებზე ისმოდა?

ამ განცხადებების უკან არ იდგა არაერთი რეალური ძალა, იყო მხოლოდ და მხოლოდ შიშველი ემოციები.

რაც მაშინ, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ხდებოდა, ეს ყველაფერი ძალიან მკაფადა რომანტიკულ-პროიკული პათეტიკით გაუღენთილ თეატრალურ წარმოდგენას, სადაც ვიღაცები გმირების როლებს თამაშობდნენ და მაყურებელს არწმუნებდნენ, რომ სწორედ ისინი იყვნენ საქართველოს მსხნელები და განმათავისუფლებლები, რომლებიც შლიდნენ და ანგრევდნენ საბჭოთა იმპერიას.

არამარტო საბჭოთა კავშირი დაეშალეთ ჩვენ, არამედ გავათავისუფლეთ ადმოსავლეთი ევროპის ქვეყნები! – „თავმდებლად“ განაცხადა ერთმა იმდროინდელმა „გმირმა“ ერთ-ერთ მიტინგზე და მიტინგის მონაწილე ათათასობით ქართველი ყიფით და ოვაციებით შეეგება მის სიტყვებს.

ამ ათათასობით ქართველსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ საბჭოთა იმპერია მართლად ჩვენ, ქართველებმა, დავანგრეთ და ადმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიც ჩვენ, ქართველებმა, გავათავისუფლეთ.

აი, ასეთი და ამნაირი შინაარსის იყო ის საექტაკლი, რომელიც, დღემდე არავინ იცის, ვინ დაგვიდგა და არც ის ვიცით, ვინ ცვლიდა გზადაგზა ამ საექტაკლის დრამატურგიას, ვის გაჰყავდა და ვის შემოჰყავდა ახალი პერსონაჟები სცენაზე, ვინ წვდოდა ახალ ტექსტს და ვისი ნახელავი იყო ეს ახალ-ახალი დეკორაციები.

ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საექტაკლის მთავარი გმირები და, პარალელურად, მაყურებლებიც, ერთმანეთს დაერივნენ და რუსეთის ნაცვლად საკუთარი სამშობლო დაღვეს და დაამარცხეს.

როგორც ვთქვით, NATO-ში ვერა და ვერ შევიკვართ, სამაგიეროდ, რუსები უფრო ღრმად და ღრმად შემოდინ საქართველოში.

საქმეს ვერ შევლის ჩვენი დასავლელი პარტნიორების შემოთქება-აღშფოთება, რუსები ჯიუტად მოიწვევენ წინ, რითაც საზგასმით აწვევებენ, რომ როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ძლევამოსილი პარტნიორებიც სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ.

– ეკონომიკური სანქციები მაინც დაუწესეთ ამ ოხრებს, სანამ მთავარი მაგის-ტრალიც არ გადაუკეტავთ და ზედ მათულხლართები არ გაუვლიათ – მოუწოდებთ დასავლეთელ პარტნიორებს ჩვენი „პარტიოტი“ არასამთავრობოები.

ამ პარტიოტიმაც ორგანიზაციებმა, ალბათ, არ იციან, რომ ქართულ ეკონომიკაში რუსული კაპიტალი ძალიან მასშტაბურად არის წარმოდგენილი და შესაძლოა, ეს სანქციები ბუმერანგით მოგვიბრუნდეს უკან.

რუსები შემოდინო, მერამდენად ვთქვი, თუმცა, სინამდვილეში რუსები უკვე შემოსული არიან საქართველოში.

ერთი კარგად მიმოვიხედით და დავინახავთ, რომ ალყაში ვართ, ბიძიკოებო, ალყაში და ჩვენს დასხნა-გათავისუფლებას არავინ აპირებს და რომც დააპიროს, ამას ისეთი კატასტროფული შედეგები მოჰყვება საქართველოსთვის, ქვა ქვაზე არ დარჩება.

აბა, რა ვქნათ?

გულწრფელად გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი!

მე რომ არ ვიცი, ეგ არაფერი, მაგრამ საქართველოში ბევრიც რომ არ მეგობრება ისეთი, ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია, აი, ეგ არის უბედურება.

ოცდაათი წლის წინათ მეც, ბატონმა სიღამონამაც და კიდევ ძალიან ბევრმა ზუსტად ვიცოდით, რას რა მოჰყვებოდა და როგორ საბედისწეროდ განვითარდებოდა მოვლენები ჩვენი ქვეყნისთვის.

ვიცოდით და სხამაძლად ვამბობდით, ვცვრდით, ვიხვეწებოდით, მაგრამ არავის ესმოდა ჩვენი ნათქვამი.

ახლა ჩიხში ვართ – წინ ვერ წახვალ და ვერც უკან გამობრუნდები, რადგან უკანაც ყრუ კედელია ამოშენებული.

მოკლედ, ორმაგ ჩიხში ვყოფილვართ, ვიღაც-ვიღაცები კი ორმაგ ჩიხირთმას მი-ორთმევენ!

პანტანო ხარკილავა

მერაბი — ჩვენი უღალატო მეგობარი ვიზალი ღარასელია — 60



ყოველ ადამიანს საკუთარი ისტორია აქვს. ადამიანზე შეუცდომლად შეიძლება იმსჯელო, მხოლოდ იმის მიხედვით, როგორ იცხოვრა და რა შექმნა. რაც უფრო ღირსეულია ადამიანი, მით უფრო წარმატებულია მისი ცხოვრება. ამ სიტყვების მოშველიება იმისთვის დამჭირდა, რომ საზოგადოებას წარუდგინო გამორჩეული პიროვნება ბატონი მერაბ ხუბუა.

გონებით ნათელს, ზნეობით წმინდას, სულიერად ფაქიხს, სწორედ მას აქვს უფლება თავაწეული და ამაყი იყოს. ეს უფლება არ გახლავთ შემთხვევითი. ის კეთილშობილური ცეცხლი, რომელიც მასში გიზგიზებს, ადამიანებთან ურთიერთობის წყაროდ აქცია.

სოფელ უშაფათის სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნიჭიერმა ახალგაზრდამ სწავლა გააგრძელა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. იყო გამორჩეული სტუდენტი. შემდეგ ცოდნას ექვსი წელი იმდღებდა ასპირანტურასა და დოქტორან-

ტურაში. პარალელურად კითხულობდა ლექციებს მშობლიურ უნივერსიტეტში.

თუმცა, ამასაც არ დასჯერდა და გაემგზავრა მოსკოვში, სადაც ჩაირიცხა ე. წ. „კრემლის აკადემიაში“. სწავლასთან ერთად აქვე კითხულობდა ლექციებს. ამბობენ გარკვეული სიმაღლეების მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება. ბატონმა მერაბ ხუბუამ შეძლო მიღწეულის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ მისი გაღრმავებაც...

ეს ყოველივე უძილო დაძველისა და რთული ამოცანის დაძლევის ფასად მოხდა. იგი გახდა არაერთი მხატვრული, სამეცნიერო წიგნის, ლექსიკონისა და სახელმძღვანელოს რედაქტორი. თავადაც ქმნიდა და აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს, სამეცნიერო გამოკვლევებს.

იქნებ ჩვეულებრივია ყოველივე! სწორედ ამ ჩვეულებრივშია ჩაიკრული ოქროს წესი – ეკუთვნოდე არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ იყო და დარჩე საზოგადოებისთვის მისაბამ ადამიანად. მას სჯერა ცხოვრების, ყოველთვის სჯეროდა მეგობრობის, ერთმანეთის თანადგომის, ამიტომ თავად არის მისაბამი მეგობარი, მეცნიერი, მეგობარი და საიმედო თანამდგომი. ბერეს არ ითხოვს. არც აქვს დიდი პრეტენზია. მაგრამ ბევრი მშვენიერი რამ უნახავს ამ ქვეყნად, სანახავი და გასაკეთებელი კიდევ უამრავი დარჩა.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაარსა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე, პირველი ალტერნატიული აკადემია და წარმატებით უძღვებოდა მას. როცა ოჯახური მღვთვარეობის გამო მოუწია მშობლები სენაკის რაიონში დაბრუნება და ცხოვრება, ამან არ ჩააქრო მასში შემოქმედებითი ცეცხლი. აქტიურად

გააგრძელა შემოქმედებითი მოღვაწეობა, აქვეყნებს ესეებს, ნარკვევებს, ლექსებს, ჩანახატებს. ყოველივე გამოსდის ოსტატურად. დღემდე ეწევა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებასა და საქმიანობას.

ბუნებით ოპტიმისტია. ორგულივ მყოფთ იმედის ცეცხლით ათბობს, ამხნეებს, მომავლის რწმენას უნერგავს. მას დაეჯერება, რადგან ოჯახური ტკივილების მიუხედავად არ დაუკარგავს რწმენა მომავლისა. ხელები არ ჩამოუყრია, წვერი არ მოუშვია და ამით არ გამოუხატავს პროტესტი – მორჩა, ყველაფერი დასრულდაო. პირიქით, უხმო ენერგიას, გახდა მაგალითი ჭირთან შეურთებლობისა.

ზოგჯერ გაიგონებ მისგან შეძახილს „**პაიტ, შე, ჩემო თავო, ღმერთი არ გავიწყრეს, არ აგერიოს ფეხი, გამარჯობის სათქმელად არ დაგეზაროს ხელის გაწვდენა!**“

ბატონი მერაბის დარი ადამიანები, რომ არა, ამ გაუსაძლის ყოფაში სიღალეს გადავენევიდით. მან საკუთარი საშუალებებით გაიკვლია გზა ცხოვრების შუაგულსაკენ, იპოვა პოეტური გზნება ყოველდღიურ საქმიანობაში.

მაღლობა უფალს, უკან დარჩა 60 წელი, მშფოთვარე და დაძაბული, მაგრამ სულიერად და ფიზიკურად გამოიყურება სავსებით მხნედ, რაც იმის წინა პირობაა, რომ ბატონი მერაბი კვლავაც გაგვახარებს საკუთარი შემოქმედებითი წარმატებებით!

ბატონო მერაბ, გილოცავ იუბილეს!

მიიღე ჩემგან მეგობრული საღამო და სურვილი, ასე ამაყად გვეყავდე დიდხანს, რათა გიხილოთ ტრიბუნაზე ომახიანი შეძახილებით, ლექსების წაკითხვაში და უხარული და შემართული!

ბორის ღვთიაია

ჩემთვის და ალბათ სხვა ბევრისთვისაც ცოტა ძნელია 60 წლის ვიტალი დარასელია წარმოვიდგინო...

მაგრამ ფაქტია, რომ მას ამ დღეებში ექვსი ათეული წელი შეუსრულდებოდა...

მე მიჭირს მის შესახებ უემოციოდ და ცრემლის გარეშე რამე დავწერო... მიჭირს, რადგან ვიტალი დარასელია ჩემი ბავშვობის, ჩემი სიყმაწვილის ჯამინდელი გმირია, კუმირია...

ფაქტია, რომ ვიტალი დარასელიამ მე ის ბავშვობა, ის სიყმაწვილე ნამდვილად გამიღამაზა... ზღვისპირელმა ვიტალი დარასელიამ მე ზღვა სიხარული მანუქა... ვიტალი დარასელიამ ფეხბურთი – სპორტის ეს უღამაზესი და უპოპულარესი სახეობა მაშინ კიდევ უფრო შემაყვარა...

ახლა, როცა ამას ვწერ, ვგრძნობ მეხსიერების ლაბირინთებში რეტროსპექტიულად როგორ გაიღვკვს მისი ვირტუოზული და გულიანი ბურთაობის ცალკეულმა ეპიზოდებმაც...

ეს ოჩამჩირელი ბიჭი უდავოდ განსაკუთრებული მოვლენა იყო... მაღალტექნიკურობის, ათლეტურობის და საერთოდ ასე ვიტყვოდი – უნივერსალურობის თვალსაზრისით ვფიქრობ, რომ ვიტალი დარასელიას მისი თაობის ქართველ მობურთალებში ტოლსწორი არც ყავდა... არც სსრკ-ს სივრცეში მასხნდებდა ვინმე მისი ბადალი ყოფილიყო და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ვეროვანი მასშტაბითაც ჩვენი ვიტალი ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

ის იყო ფეხბურთის ვარსკვლავი... ის იყო სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული დიდი მობურთალი...

მის დიდ ადამიანურ თვისებებზეც ხომ ლეგენდები დადიოდა... შეუძლებელია იმ სიხარულის, იმ ემოციების დავიწყება, რომელიც უწინარესად დიუსელდორფში მის შედეგრადურ გოლთან ასოცირდება... დიას, შეუძლებელია ვეროპული საფეხბურთო ტროფეის მოხვეჭაში მისი განუზომელი წვლილის დავიწყება... ცნობილია, რომ ვიტალი დარასელია თაობათა ცვლადწვეული „დინამოს“ ერთ-ერთი უმთავრესი იმედი იყო...

დიას, დიდი დავით ყიფიანის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელებს სწორედ ვიტალი დარასელია გარშემო ჰქონდათ გუნდის ფორმირება განზრახული... და, ვინ იცის, რომ არა 13 დეკემბრის იმ ავბედით დღეს უბისაში მომხდარი ის სახარული ავტოკატასტროფა – სამამულე ფეხბურთი ასეთ სავალალო მდგომარეობაში შესაძლოა არც აღმოჩენილიყო...

ვიტალი დარასელია ახლა 60 წლის იქნებოდა... თუმცა ის 25 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩა... მაღლიერი ხალხის, მისი ტალანტის დამფასებელ-თაყვანისმცემელთა და ფეხბურთის ქომაგთა ხსოვნაშიც სამუდამოდ დარჩა ვიტალი დარასელია...

განათლოს და აცხონოს უფალმა ვიტალი დარასელიას სული! ღორონთქ განათას დო ოჩხონუას ვიტალი დარასელიაში შური!

ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

აფხაზეთის მთავარი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე-ჩაჩხა



როგორც ნაფიქსირია აფხაზი პეიზაჟისტი, გიორგი შარვაშიძის ერთ-ნაირი სიძლიერით უყვარდა ის დაღას რომელმაც შობა და ის დაღას, რომელმაც თავისი რკით გამოკვება. მას მათთვის არ უღალატებია მათი სიღარიბისა და დახმარების ღრმად და ხსოვრების და სხვა რაღაცების გზის დასასრულ-ლაგდა შეინარჩუნა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა.

შემდგომ აფხაზეთის სამთავროს არსებობის საკითხიც დადგა. მთელ საქართველოში და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დიდი ავტორიტეტის მქონე, იმ დროისათვის ჯანგაბეცილი აფხაზეთის მთავარი, მიხეილ შარვაშიძე, 1864 წელს იძულებული გახდა იმპერატორის ნებას დამორჩილებოდა, მოსახლეობისათვის ცარიზმის მორჩილებისაკენ მოეწოდებინა და წინააღმდეგობის გაუწევლად გადაემდგარყო. აფხაზთა ბრძენმა თავიდან კარგად იცოდა ცარისტთა ზრახვანი, მიზნის მისაღწევად ისინი არავის დაერიდებოდნენ და ზღვა სისხლს დაღვრიდნენ. სწორედ ამიტომაც, მშობელი ხალხისათვის განსაცდელის თავიდან არიდების მიზნით, იგი ძალას დამორჩილდა. ამ გადაწყვეტილების საფასურად კი მშობლიურ კუთხეში დატოვება ან, უკიდურეს შემთხვევაში, ქუთაისში დასახლების უფლება ითხოვა. თუმცა, ცარისტული აღმინისტრაციისთვის ეს უწყინარი თხოვნაც მიუღებელი აღმოჩნდა. ყასიდად თანხმობა განუცხადეს, გემზე მოტყუებით აიყვანეს და ფოთისკენ მგზავრობის მომლოდინე ნოვოროსისისკიდან ვორონეჟს გაუყენეს. მიხეილ შარვაშიძე იმ მგზავრობისას, ვინ იცის, რა ფიქრებით ეთხოვებოდა მშობლიურ სანახებს. ალბათ, ნანობდა კიდევ წლების განმავლობაში რომანოვთა სიმპერატორო სახლისადმი თავდადებასა და რუსეთის ინტერესების დაცვას. ისტორიული წყაროები ამაზე ღუმან, მაგრამ სიტუაციის ტრაგიზმი იმაშიც იგრძნობა, რომ იმპერიის დაღასში დაღანაშაულებული (რაც შემდგომში ვერავინ დაადასტურა) მთავარი, აფხაზეთს შეილებთან გამოუმშვიდობებლად განაშორეს. ორივე წლით ადრე, ხანგრძლივი ავადმყოფობით შეწყუხებულმა მიხეილმა იმპერატორს თავისი უფროსი ძისთვის ტახტის გადაცემის თხოვნა აახლა. გიორგი ამ დროს თბილისში მეფისნაცვლის ადიუტანტად მსახურობდა. ამ მოთხოვნაზე მას უარი ეთქვა: თქვენი ვაჟი, თავისი ახალგაზრდობისა და გამოუცდელიობის გამო, ამ საქმისთვის ვერ გამოდგებაო. “ამ პასუხის ნამდვილი აზრი მიხეილისთვის გაუგებარი არ დარჩენილა და პროტესტის ნიშნად მან ითხოვა თავისივანთავისუფლება ნამდვილი სამსახურისაგან. მიხეილი გულისხმობდა გენერალ-ადიუტანტის წოდებასა და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს, რომელიც მას რუსის მთავრობისაგან ჰქონდა მინიჭებული” (ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, კულტურული ისტორიული ნარკვევი, სოხუმი, 1946, გვ. 14). დრომ ცხადყო, რომ მიხეილ შარვაშიძე არ შემცდარა, როცა არჩევანი უფროს ძეზე შეაჩერა. სახელმწიფო საქმეებში მეტად გამობრძნეული, კავკასიელთა პრობლემებში ზედმიწევნით გათვითცნობიერებული აფხაზეთის მთავარს თავიდანვე ზუსტად განუჭკვევტია მეგვიდრის პოტენციური შესაძლებლობები, რომელსაც საფუძველი დედამ და პაპიდამ – ალექსანდრა და კოსტინი დადიანებმა, მისი ტრადიციული ქართული საგანმანათლებლო პრინციპებით აღზრდისას, დაუდეს. ყოველივე ეს გიორგი შარვაშიძის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაზე აისახა, რომელთა უკან ევროპულად განსწავლული, რუსული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენების ბრწყინვალედ მცოდნე მოაზროვნე იდგა. გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ბევრი რამ დაწერილა. უპირველესად, უნდა გავისხენოთ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დღესაც აქტუალური, უადრესად საინტერესო წიგნი: “გიორგი შარვაშიძე, კულტურული ისტორიული ნარკვევი”. ყურადსაღებია გრიგოლ რობაქიძის, შალვა დადიანის, გერონტი კიქოძის, სოლომონ ცაიშვილისა და სხვათა ესკეზები თუ მოგონებები. არც შემდგომ წლებში დაკლებია მას ქართველ მკვლევართა ყურადღება: გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი დაგვიტოვა თათარ ჭურღულიამ. აფხაზი მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა მი-

მოიხილეს ავთანდილ ნიკოლაიშვილმა და თათული ღვინიაშვილმა. ელგუჯა თავბერიძემ გამოსცა ორტომეული, რომლის პირველ ტომში შევიდა სიმონ ჯანაშიას ზემოთ დასახელებული წიგნი, ხოლო მეორე ტომში – გიორგი შარვაშიძისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორების წერილები. მსგავსი ინტერესი შემთხვევითი ნამდვილად არ არის. გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფია მართლაც რომ ერის რწეული შეიღის ცხოვრების კლასიკური მაგალითია. თხემით ტერფამდე არისტოკრატს, განუმეორებელი პაბიტუსის მქონე, უზადო ზნეობისა და სულიერი სიმადლის მატარებელს მართლაც რომ მონუსხული ჰყავდა თანამედროვენი. აქვე გვინდა მოვიხმოთ ლექსი, რომელიც დიდმა მოსანმა აკაკი წერეთელმა უძღვნა გიორგი შარვაშიძეს და პასუხი, რომელიც ასევე ლექსად გაუგზავნა გიორგიმ აკაკის: აკაკი წერეთლის ლექსი, გიორგისადმი მიწერილი შენი ტკბილი საუბარი მიყვარს როგორც “ქება-ქება”, შენი ნახვა ნერვებ აშლილს სამკურნალოდ შეერგება. ეს შენც იცი, მაგრამ ძმაო, ცოტას მოიფხაზურებ, ახალ-ახალს რომ მონახავ, ძველებს აღარც კი უყურებ. ეს არ არის მოსაწონი, გეფიცები ზენა-არსსა, ნათქვამია: “ნუ დააგდებ ძველ გზასა და მეგობარსა”. თათარხანი ჩამოსულა (მათი მეგობარი), მაგრამ ჩემთვის სად მოიცდის, დღე სძინავს და ღამე ღოთობს, თამაშობს და ყანწებსა ცლის; ჩემთვის სადღა დაურჩება ან საღამო და ან დილა. ესეც კია, მეგობრობა სვანის არსად გაგონილა! გიორგის პასუხი აკაკისადმი შენი ტკბილი მოსწონის ენა რა ხანია, არ მსმენია, ფუტკარმაცა იცის კენა, მაგრამ თაფლის გამჩენია. რაც უნდ მითხრა, მეგობარო, მე, შენს შავირდს, მაძღვე ღხენას, რადგან ვიცი, უკეთ ხარო, მადლსა ვწირავ ცას და ზენას. მაგრამ შენსა მადალ ნიჭსა არ შეპყვრის უმართლობა: მოპყვრისარ ცოტა ჭორსა, მოგრევი იმერლობა. სვანი ყანწით გადღვერძელებს, მე, აფხაზი, წრფელის გულით, ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს, ძმობითა და სიყვარულით!

და საოცნებო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც შენ ზიზღით უარყოფდი. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლი და ტანჯვა-წვალებით მოისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატის წვერი სხასხლის ყურადღება-წვალობის დამსახურებისაკენ, შენ კი ყმაწვილობიდან გეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც იმპერიის ტახტიდან გამომდინარებოდა. ტრაგიკული იყო ამ გამორჩეული პიროვნების ცხოვრება. როგორც აღვნიშნეთ, მამამისი მშვიდობიანად გადადგა, მაგრამ შემდგომში მოვლენებმა აფხაზი ხალხი ფიზიკური გადარჩენის საშიშროების წინაშე დააყენა. ცარისტულმა ბიუროკრატამ ზღვარდაუღებელი თვითნებობით უმოკლეს დროში მოახერხა აფხაზეთის მოსახლეობის წყობიდან გამოყვანა. ავღებულმა და ცინიკურმა დამოკიდებულებამ ხალხს იარაღი ააღებინა და 1866 წლის 17 ივლისს აჯანყებამ იფეთქა. ამ ამბოხის პერიპეტებს აღარ ჩაუვლდრმავედებით, მაგრამ უნდა აღვნიშნოს, მთავრადარჩეულ ჯერ კიდევ ყმაწვილ გიორგის ხალხმა წინამძღოლობა რომ სთხოვა. ამბოხის მოკლე დროში ჩახშობის შემდეგ გიორგი შარვაშიძე რუსეთში გადასახლდეს და ჟანდარმერიის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ განაწესეს. რამდენიმე წლის შემდეგ მას პეტერბურგში დაამკვიდრების ნება დართეს, უფლისწული ალექსანდრე (შემდგომში იმპერატორი ალექსანდრე III) პირველივე შეხვედრისთანავე მოხიბლულა აფხაზეთის ტახტის მემკვიდრის ღირსებებით და მალე დამეგობრებია კიდევ. XIX საუკუნის 60-იან წლებში ცარიზმი შეუდგა შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიებიდან ჩერქეზულ-აფხაზური ტომების გასახლება. ამ დანაშაულებრივი ქმედებით შეძრული გიორგი შარვაშიძე ტოვებს პეტერბურგს და თბილისისკენ მიემგზავრება. სწორედ აქ გაიცნო მან უსათნოესი ქალბატონი ელო ანდრეევსკაია და მალე ჯვარიც დაიწერა. გიორგიმ მეუღლის მზითვად მიღებული მამულების სამართავად პეტერბურგიდან თავისი ძუძუმტე, იურიდიული განათლების მქონე – დავით ჩქოტუა გამოიხმო. გიორგის თანამშრომლობისათვის ასევე მოწვეული ჰყავდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული დავით ანაბაძე (ის, სამწუხაროდ, მალე გარდაიცვალა). ამ ახალგაზრდების სახით აფხაზ ხალხს ღირსეული ქომაგები გამოუჩნდნენ. ქართველ სამოციანელებთან მათი ახლო მეგობრობა ხელისუფლებას არ გამოჰპარვია. რუსულმა აღმინისტრაციამ, ალბათ, ისიც კარგად გაიცნობიერა, ამ განათლებული აფხაზების ქართველებთან თანამოდგეობა იმპერიის ინტერესებს როგორ შეუშლიდა ხელს. აფხაზი ხალხის სასიცოცხლო პრობლემატიკა “ივერიისა” და “დროების” ფურცლებზე პირველად სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა. 1876 წლის 22 ივნისს ანდრეევსკების სახლიდან მოულოდნელად გაქრა ელოს უფროსი და – ნინო. ორიოდ დღეში მისი გვამი ქალაქარეთ, მტკვარში აღმოაჩინეს. გამოძიებამ დავით ჩქოტუა დაადანაშაულა და მას მკვლელობის ორგანიზაცია დასდო ბრალად (მიხეზად გიორგი შარვაშიძის მიერ სიმამრის მამულების სრულად ხელში ჩაგდებას სურვილი დასახელდა). ამ აღმანათლებელმა ბრალდებამ მთელი ქართული საზოგადოება ფეხზე დააყენა. დაცვის ყველა მცდელობა ამო აღმოჩნდა. დავით ჩქოტუას 20 წლით კატორღა და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანიას უნდა დარჩეს თუ არა პაიდი? გამოკითხვა ქართულ მედიასში



კოლეგებს შორის მორიგი გამოკითხვა ჩატარდა. კითხვა ასე ჩამოყალიბდა: რამდენად სწორად მიგაჩნიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ვლადიმერ ვაისისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზება?

ელენე ბილინიძე (საქართველოს რადიოს პირველი არხი): "უმჯობესი იქნება, ფედერაციის ხელმძღვანელებმა ვაისთან კონტრაქტის გაგრძელების სანაცვლოდ, არჩევანი რომელიმე ქართველ მწვრთნელზე შეაჩერონ, მწვრთნელზე, რომელიც გუნდთან ერთად გაიზრდება".

ბიძინა ბარათაშვილი (სილქმედია): "არ მივეუფნებ ვაისის არც მეხობებოდა და არც იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ყველაფერს მას აბრალებენ. შექმნილ სიტუაციაში მაინც მგონია, რომ ვაისმა ნაკრებში მუშაობა უნდა გააგრძელოს. ამიტომ მე მაინტერესებს, რამდენად იქნებიან ნაკრებში ახალი სახეები, ახალგაზრდა ფეხბურთელები... რეალურად, როცა ამ შესარჩევი ციკლის წილისყურა დასრულდა, პირადად მე მქონდა იმედი და ამბიცია იმისა, რომ მოვახერხებდით ბოლომდე ბრძოლას ორ საუკეთესო გუნდს შორის მოსახვედრად. დარწმუნებული ვარ, მართლაც არ ვიყავი, ვინც ასე ფიქრობდა. ალბათ, სწორედ ამიტომ არის კითხვის ნიშნები ვაისის მიმართ... მეორე საკითხია, ეს ყველაფერი მწვრთნელის ბრალია თუ იმ რეალობის, რომელშიც არის დღეს ქართული ფეხბურთი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამ მდგომარეობამდე მივიღოთ ნაბიჯ-ნაბიჯ და ეს ერთ დღეში არ მომხდარა".

მიხეილ შორჭელიანი (ახალი თაობა): "ვაისს ქონდა ხარვეზები... მაგალითად, რამდენიმე შეხვედრაში შემადგენლობის მხრივ, ასევე მიზნულად ეთვლება მოდლოვასთან მოუგებელი მატჩები და საერთოდ შესარჩევი ეტაპის მოგების გარეშე ჩამთავრება, მაგრამ მიმანია, რომ ეს პერიოდი

სლოვაკი სპეციალისტისთვის უფრო გაცნობილი ხასიათის იყო. ნაკრებშიც მეტ-ნაკლებად გამართული ფეხბურთი ითამაშა, პარტიკულად გეგმდნენ მეტოქეები და შედარებით მორიდებულნი იყვნენ ჩვენთან მიმართებაში... ჩვენც უფრო თამაშები ვიყავით მეტოქეებში... ვფიქრობ, ვაისს კიდევ ერთი შესარჩევი ციკლი უნდა ვაცადოთ მუშაობა".

ბიორბი მეტაძე (worldsport.ge): "პირველ რიგში ვიტყვი, რომ ვეთანხმები სფფ-ის გადაწყვეტილებას კონტრაქტის განახლებასთან დაკავშირებით. მართალია, ვაისის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებს არ ჰქონია შედეგი, მაგრამ ვფიქრობ, წინასთან შედარებით უკეთესი იყო თამაშის ხარისხი. ობიექტურად, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, ადვილი შესაძლებელი გახლდათ, ნაკრებს გაცილებით მეტი ქულა მოეპოვებინა შესარჩევიში. მომხრე ვარ სლოვაკის დარჩენის, რადგან, ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებში ნაწილობრივ მაინც დაიწყო ნაწილობრივ ფეხბურთის თამაში, შესაძლებლობები ზღვარზე. ვაისი ყველანაირად ცდილობს, შანსი მისცეს ყველა იმ ფეხბურთელს, ვინც თავს, ასე თუ ისე, კარგად წარმოაჩინა. გარდა ამისა, ერთსა და იმავე მდინარეში შესვლა დამდევლია - რამდენიმე მწვრთნელი შეიცვალა საქართველოს ნაკრებში, მაგრამ ამან რა მოიტანა? - არაფერი. ვფიქრობ, დროა კიდევ ერთი შანსი მივცეს ვაისს, რომელიც უკვე იცნობს გუნდს და რომელმაც უკვე გამოკვთა ის წერტილები, რაზეც თამაშის ავტომატურად ვერ შეიძლება. ამ ეტაპზე ვერანაირად ვერ გხვდევ გამოსავლს ახალ მწვრთნელში, პირიქით - ამან შეიძლება ისევ უკან დააბრუნოს ნაკრები და ის თამაშშიც ვერ აჩვენა, რაც აჩვენა თუნდაც კარდიფში... ასევე რომ არ იყოს, ისედაც თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი პრობლემა მწვრთნელი არ არის - ქართულ ფეხბურთს სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი და მწვავე დაავადებებიც სჭირს. და ბოლომდე, თუ კონკრეტულად მოუგებელ შესარჩევი ვისაუბრებთ, აღვნიშნავ, რომ სულაც არ ყოფილა ჩვენი ნაკრები ისეთ ადვილ ჯგუფში, როგორც ბევრს ჰგონია. მართალია, არ ყოფილა გრანდი, მაგრამ იყო ოთხი ძალიან კარგი გუნდი ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელებით. მე პირადად ნამდვილად დავინახე დადებითი მხარეები გუნდის

თამაშში. თუნდაც ის რად ღირს, რომ მეტოქე მწვრთნელები საქართველოს ნაკრებზე მოწიწებით, პარტიკულად ლაპარაკობდნენ. ეს უდავოდ იმის დამსახურებაა, რა თამაშშიც საქართველომ აჩვენა. მოკლედ, ვაისს უნდა მიეცეს მეორე შანსი".

ილია ნანობაშვილი (worldsport.ge): "სწორად მიმანია, ოღონდ, დავაკონკრეტებ. ვაისის ფორმაციის ნაკრები თამაშობს თანამედროვე და გამართულ ფეხბურთს, რაც იმდენად იმის წინა პირობას, რომ შედეგი მოვა. პირადად მე, როცა თემურ ქეცბაიას ნაკრებს ათმეტნიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, ვამბობდი, რომ ასე დიდხანს არ ვპოტენცილი ვარ ნააზრევი გამო არაერთხელ "მომხვდა", არაპოპულარული გამოდიოდა მაშინდელი კრიტიკა. არადა, მაშინდელი ნაკრების თამაშის ხარისხი არანაირ იმედს არ იძლეოდა და ჩანდა, რომ იღბალი ყოველთვის ჩვენკენ არ იქნებოდა. მწვრთნელი მარტო ტაბლოთი კი არა, იმითიც იზომება, თუ რამდენად დალაგებული აქვს გუნდის თამაში, რამდენად დალაგებულია მისი ნააზრევი მინდორზე... რომელიც ჯგუთამყოფელი მოიწონებს შედეგს, როცა მოგება არ გვაქვს, მაგრამ ჩანს პოტენციალი, რომ ვაისის ხელში ნაკრები წარმატებით თამაშდება. ხარისხობრივად, ვაისის გუნდმა ორი მატჩი ჩააგდო: შინ - მოდლოვასთან და ასევე შინ - უელსთან. სხვა მატჩებს რაც შეეხება, მეტოქეთა მწვრთნელებს ვადავლებების გამო არ უთქვამთ, რომ საქართველოს ნაკრებს თამაშის მიხედვით გაცილებით მეტი ქულა უნდა ჰქონოდა. გავითვალისწინოთ უამრავი საკადრო პრობლემა. საქართველო ფეხბურთელებით განებივრებული ქვეყანა არ არის და დანაკლისს რთულად ვიტანთ. ვალიანო, რომ მწირი არჩევანი გვაქვს. ვაისს ქონდა შეცვლები, თუნდაც შეცვლების მხრივ, თუნდაც საწყის მატჩებში გაუბედავი ტაქტიკის გამო... ოღონდ, ერთსაც დავამატებ: მგონი, პირველად ხდება, რომ ნაკრებში გამოძახებული შემადგენლობის ირგვლივ მითქმა-მოთქმები აღარ არის. ან თუ არის, ძალიან ნაკლებად".

საბა საპანაძე (adjarasport.com): "მიუხედავად იმისა, რომ ვაისის გუნდმა შესარჩევი ციკლი მოგების გარეშე დაასრულა, მაინც ვფიქრობ, რომ მან უნდა გააგრძელოს მუშაობა. მისი მოსვლის შემდეგ ნაკრებში ბევრი დადებითი რამ

შეინიშნება. ნებისმიერ მეტოქესთან ვცდილობთ, ბურთზე კონტროლი დავამყაროთ, გამართულად ვუტყუოთ და ყველაზე მთავარი, რაც სლოვაკი მწვრთნელის ხელმძღვანელობისას შევნიშნე - გოლის გაშვების შემდეგ გუნდი არ იბნევა და ამას არ მოჰყვება უცებ საკუთარ კარში მიღებები კიდევ რამდენიმე გოლი. ეს პრობლემა ნამდვილად გვექონდა კახა ცხადაძის მწვრთნელობის პერიოდშიც. ამასთან, ვაისის გუნდს მატჩების უმეტესობაში არ ჰყოლია სრული შემადგენლობა. ყოველთვის გვაკლდნენ წამყვანი მოთამაშეები, თუმცა მაინც ვახერხებდით ხარისხიანი ფეხბურთის თამაშს. მწვრთნელების ხშირ ცვლას არასდროს არავისთვის მოუტანია შედეგი და არც ახლა იქნება გამონაკლისი".

ნიკოლოზ ნაზარაძე (ლელო): "წელი გამარჯვება ათ შესარჩევი მატჩში ნამდვილად არ არის იმის წინა პირობა, რომ მწვრთნელს კონტრაქტი გაუხანგრძლივოთ. მიუხედავად იმისა, რომ ვაისის მუშაობას ცალსახად უარყოფითად არ ვაფასებ, ახლა ცვლილებების დროა".

მიხეილ აბაიშვილი (საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი): "ვაისი უნდა დარჩეს. მისი ფორმაციის საქართველოს ნაკრებს პრაქტიკულად ყველა თამაშში ჰქონდა გამონათებები და თანამედროვე, გამართული, დისციპლინირებული ფეხბურთის დემონსტრირებას ახდენდა. თანაც ისე, რომ ხშირ შემთხვევებში მეტოქეს აშკარად ადგებოდა. ასე იყო ირლანდიასთან, ავსტრიასთან, უელსთან, სერბეთთან... ოღონდ, ეს ხდებოდა ხან ნახევარი საათის, ხან ერთი ტაიმის, ზოგჯერაც 70 წუთის განმავლობაში. ვაისის გუნდს 90 წუთი ასე სწორი ფეხბურთის თამაში არ შეეძლო. რამდენად არის ეს ვაისის ბრალი? ვფიქრობ, რომ ყველაზე ნაკლებად. მცირე სათამაშო პრაქტიკის მქონე, ანაც სულაც უგუნდო ფეხბურთელები 90 წუთს ვერ იტანებენ. ვაისი კი არა, გვარდიოლამ ან კონტე რომ ჩამოეყვანათ, საქართველოს ნაკრებს 90 წუთს ჯერ ვერ ათამაშებენ. არის ხარვეზები, რაც ვაისმა საკუთარ თავში უნდა აღმოფხვრას. პირველ რიგში, ეს არის უფრო მეტი ყურადღება ეროვნული ჩემპიონატის მიმართ და შეცვლების უფრო დროულად და თამამად განხორციელება. სხვა მხრივ, ჩემი აზრით, ვაისის დღეს ალტერნატივა არ ჰყავს".

როგორი იქნება ზუგდიდის ბულვარი

გამოცხადდა ტენდერი ზუგდიდის ცენტრალური ბულვარის რეკონსტრუქციისთვის. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 2017 წლის ბოლომდე ვერ მოესწრება. ამიტომ, პირველ ეტაპზე მოხდება არხის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა, ასევე პანდუსების მოწყობა-მოპირკეთება.

ასევე, გაკეთდება ხიდგადასასვლელი მოაჯირებით, სარწყავი სისტემა და წყალსაწრეტი, დაიდგმება დეკორატიული ქოთნები. დარჩენილი სამუშაოები 2018 წლის იანვრიდან გაგრძელდება. დოკუმენტაციის მიხედვით, მცენარეთა დარგვა უნდა მოხდეს ადრე გაზაფხულისთვის, თებერვლისა და მარტის თვეებში.

დენდროლოგიური პროექტით გათვალისწინებული ბულვარში არსებული გადაბერებული და

უსახური 17 მცენარის მოჭრა-ამოძირკვა, ადამიანთა და კომუნიკაციების უსაფრთხოების მიზნით ხმელი მცენარეების მოჭრა, ცოცხალი მცენარეების გათავისუფლება ხმელი ტოტებისგან, მოჭრილი მცენარეების ადგილზე კი ახალი, იგივე სახეობის მცენარეთა დარგვა, ასევე უსისტემოდ დარგული, გადაზრდილი მცენარეების გასხვლავ-ფორმირება.

პროექტის ჯამური სავარულო ღირებულება 910 532 ლარია.



მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანალორი დანელია,
ტელ: 571 22 66 34



გაზეთი "ილორი" მწუხარებით იუწყება, რომ 63 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ლიტერატორი თემურ ძორიძე. იგი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გვერდით იბრძოდა, იყო უზენაესი საბჭოს წევრი და მისი ხელმძღვრეა ამშვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ნათელში იყოს ბატონი თემურის სული.

ილორი
- ექიმო, იცით, თმა მცვივია!
- იმიტომ, რომ ბევრს ნერვიულობთ.
- როგორ არ ვინერვიულო, როცა თმა მცვივია!

- მარო, შენი ქმარი კოჭლია?
- რას ამბობ, ქა, კოჭლი კი არა, ცალი ფეხი გრძელიც კი აქვს.

დილით ადრე ნეხვიდან გამოძვრა ორი ჭია - დედა და შვილი.
- დედიკო, ეს რა შირიანებს ასე მწვანედ და ლამაზად? - ეკითხება შვილი.
- ეს ტყე არის, შვილო!
- ასე ლურჯად რა ლიფიფებს?
- ეგ ზღვა არის, შვილო!
- და ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?
- ეს არის ჩვენი სამშობლო, შვილო!...

გოგო და ბიჭი ხელისხელაქადებულები მოდიან.
გოგო ეუბნება ბიჭს:
- რა ოფლიანი ხელები გაქვს?
- შენ ფეხები უნდა ნახო...

სასაულომოქმედი პრეპარატი "დომენოლი" და "გაგენოლი" მუღამი იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახური
დომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთოზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ დაავადებულებს, ჰეპრნავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქქენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.
მეურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.
კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე.
ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48
მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან